კვირეული „ვერსია“ ერთი

ვერსია

№18 (1560) 2 — 8 ივნისი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

რატომ გაუძვირდათ თბილისელებს გაზის გადასახადი

რას ითხოვს „თბილისი ენერჯი“ სემეკისა და ეკონომიკის სამინისტროსგან და დაასუბსიდირებს თუ არა მთავრობა ტარიფის 8-თეთრიან სხვაობას

ვინ არის დუგინი – პუტინის მეგობრის უცნობი დოსიე

როგორ მოიპოვა „მთავარმა“ ლევან ვასაძისა და კრემლის იდეოლოგის მოსკოვური შეხვედრის ვიდეოჩანაწერი

რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა ექსპრემიერის პანდემიურ ბიუჯეტში

2020 წელს მიღწეული შედეგების 23%-ში სისტემური ხასიათის ხარვეზებია!

გაიცანით, „თამთას სივრცის“ ზღაპრული თილიები

„ისინი ადამიანები არიან, მაგრამ ფრთებით, რომლებსაც სიკეთე მოაქვთ და ცდილობენ, სხვები გააბედნიერონ!“

რა ელის ენმ-ს

ახალი პოლიტიკური რეალობა ანუ ქართული პოლიტკორუფციის მცირე ანატომია

ქართველმა „კანონიერმა ქურდმა“ პირი ამოიკერა

ორი კრიმინალის დაუჯერებელი ისტორია

რუსთავში პატარძალმა თავი მოიკლა

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ფარგლებში, შსს-ს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებმა სწავლება გაიარეს

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა“ – ფარგლებში, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისთვის, სამართლებრივ საკითხებზე ტრენინგი ჩატარდა.

სწავლების მონაწილეებმა განიხილეს ისეთი თემები, როგორებიცაა: საგამოძიებო ორგანოების, გამომძიებლის, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ფუნქციები; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება; პირველადი კომუნიკაცია სავარაუდო მსხვერპლთან ან დაზარალებულთან; ბრაზის მართვა და აზროვნების შეცდომები.

პროექტი – „ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა“, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის აქტიური ჩართულობით, 2018 წლიდან ხორციელდება და 2022 წელს დასრულდება. იგი მიზნად ისახავს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის ხელშეწყობას ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. პროექტის ძირითადი მიმართულებებია: საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის გაღრმავება, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭოს გაძლიერება, სამინისტროს ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარება, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული მეთოდების დანერგვა, კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ორგანიზებული დანაშაულით გამოწვეულ საფრთხეებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის შესაძლებლობების გაძლიერება და სხვ.

შსს-ს დანაყოფების საქმიანობას ჩეხეთის რესპუბლიკის დელეგაცია გაეცნო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ დანაყოფებს ჩეხეთის რესპუბლიკის უსაფრთხოების ძალების გენერალური ინსპექციის დელეგაცია ეწვია. ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წევრებმა მოინახულეს შსს-ს მომსახურების სააგენტო, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრი, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი – „112“ და შსს-ს აკადემია.

მომსახურების სააგენტოში, სტუმრებს სააგენტოს დირექტორმა, ბესიკ ტეფნაძემ უმასპინძლა. დელეგაციის წევრებმა რუსთავის ცენტრალური დეპარტამენტის სარეგისტრაციო სივრცე დაათვალიერეს და არსებული სერვისების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს, ასევე, მართვის მოწმობის მისაღები თეორიული და პრაქტიკული გამოცდის ჩაბარებისა და სახელმწიფო სანომრე ნიშნის დამზადების პროცესს გაეცნენ.

სააგენტოში ვიზიტის დასასრულს, დელეგაციის ხელმძღვანელს, ჩეხეთის უსაფრთხოების ძალების გენერალური ინსპექციის დირექტორს, რადიმ დრაგუნის საჩუქრად სახელობითი სახელმწიფო სანომრე ნიშანი გადაეცა.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრში, დელეგაციის წევრებს დეპარტამენტის დირექტორი, ვაჟა სირაძე შეხვდა. მან სტუმრებს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საქმიანობისა და განხორციელებული რეფორმების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა, ასევე, ის სერვისები გააცნო, რომელთა მიღებაც მოქალაქეებს ერთიანი მომსახურების ცენტრში, „ერთი სარკმლის პრინციპით“ შეუძლიათ.

დელეგაციის წევრები ესტუმრნენ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს, სადაც მათ „112“-ის დირექტორმა, გიორგი არსოშვილმა საქართველოში გადაუდებელი დახმარების მართვის სფეროში არსებული პრაქტიკა გააცნო.

ჩეხმა სტუმრებმა ქოლ-ცენტრი დაათვალიერეს, ასევე, ოპერატორებისა და დისპეტჩერების მუშაობის პროცესს დაესწრნენ. მათ დეტალური ინფორმაცია მიიღეს ქვეყნის მასშტაბით ერთიანი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მართვისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ. 112-ში სტუმრობის დროს, დელეგაციის წევრები ელექტრონული მონიტორინგის ცენტრის მუშაობასაც გაეცნენ, კერძოდ, თუ როგორ ხდება ცენტრიდან, ელექტრონული სამაჯურის მეშვეობით, მოძალადის ვირტუალური მონიტორინგი.

დელეგაციის ბოლო ვიზიტი შსს-ს აკადემიაში იყო. აკადემიის რექტორმა, ივანე პაპიაშვილმა და პრორექტორმა, ირინა აბრამიშვილმა სტუმრებს აკადემიის საქმიანობა, სასწავლებელში დანერგილი სიახლეები და მიმდინარე პროექტები გააცნეს. შეხვედრაზე აქცენტი გაკეთდა ჩეხეთის რესპუბლიკასთან საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობაზე. კერძოდ, ხაზი გაესვა ჩეხეთის საპოლიციო განათლებისა და წვრთნის დანაყოფთან (PETU) საქართველოს შსს-ს აკადემიის მრავალწლიან ნაყოფიერ თანამშრომლობას. ჩეხ კოლეგებთან შსს-ს აკადემიას ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი აკავშირებს, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია საპოლიციო სწავლების მიმართულებით ტაქტიკური მომზადებისა და ფსიქოლოგთა ჩართულობის კომპონენტების განვითარება.

სტუმრებმა დაათვალიერეს შსს-ს აკადემიის ინფრასტრუქტურა: სასწავლო და ფიზიკური მომზადების ოთახები, იმიტირებული სასაზღვრო-გამტარი პუნქტი, ტაქტიკური და საცეცხლე მომზადების შენობები, სასტუმრო, სასადილო და სხვ.

ჩეხეთის დელეგაციამ, ხუთდღიანი ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრა გამართა შინაგან საქმეთა მინისტრთან, ვახტანგ გომელაურთან. ვიზიტის მიმდინარეობისას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ჩეხეთის რესპუბლიკის უსაფრთხოების ძალების გენერალურ ინსპექტორატს შორის, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმიც გაფორმდა.

შსს-ს თანამშრომლებმა, ძალისმიერი სპორტის ევროპის ჩემპიონატზე, სამი ოქროს მედალი მოიპოვეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომელმა, პოლიციის ლეიტენანტმა, შალვა ბებიაშვილმა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელმა, პოლიციის მაიორმა, ილია ქოჩიაშვილმა უკრაინის ქალაქ ლუცკში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, ძალისმიერი სამჭიდში, ოქროს მედლები მოიპოვეს.

შალვა ბებიაშვილმა 127 კგ. წონით კატეგორიაში, სამჭიდის ყველაზე გავრცელებულ ორ სახეობაში – წოლჭიმსა და შტანგის ამოწევაში ორი ოქროს მედალი მოიპოვა. მან წოლჭიმში – 200 კგ., ხოლო შტანგის ამოწევაში – 270 კგ. დაძლია.

ილია ქოჩიაშვილი კი 125 კგ. წონით კატეგორიაში, პირველ ადგილზე გავიდა და ასევე ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო აბსოლუტურ კატეგორიაში, მესამე ადგილი დაიკავა.

ჩემპიონატი ძალისმიერი სპორტის საერთაშორისო გაერთიანების მიერ იყო ორგანიზებული და მასში 12 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

გამარჯვებულ ქართველ სპორტსმენებს აეროპორტში შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტისა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები დახვდნენ.

შალვა ბებიაშვილი და ილია ქოჩიაშვილი საქართველოს, ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონები არიან.

პოლიციამ მედია-ჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე, თბილისში, ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული ა.ქ., მედია-ჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსის“ თანადამფუძნებლის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, მიმდინარე წლის 25 მაისს, ნამახვანჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგეთა აქციის მონაწილეებთან ერთად გადაადგილდებოდა თბილისში, მერაბ კოსტავას ქუჩაზე მდებარე მედია-ჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსის“ ოფისის წინ, რა დროსაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ამავე მედია-ჰოლდინგის თანადამფუძნებელს, 1994 წელს დაბადებულ პ. გ.-ს, კერძოდ, დროშის ტარი ჩაარტყა, რის შედეგადაც, დაზარალებულმა სახის არეში დაზიანება მიიღო.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მალევე დაადგინეს დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და იგი მომხდარიდან მეორე დღეს, ბრალდებულის სახით დააკავეს.

ძალადობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

რა ელის ენმ-ს

ახალი პოლიტიკური რეალობა ანუ ქართული პოლიტკორუფციის მცირე ანატომია

ნინო დოლიძე

საქართველოში ახალი პოლიტიკური რეალობაა ანუ შვიდთვიანი ბოიკოტი დასრულებილია, რაც იმას ნიშნავს, რომ ოპოზიციის ყველა ფრთა, რომელმაც 31 ოქტომბრის არჩევნებში ბარიერი გადალახა, პარლამენტში შევიდა და საკანონმდებლო მუშაობას შეუდგა. ერთადერთ უხერხულობას ის ქმნის, რომ ნაციონალური მოძრაობა, საკანონმდებლო ორგანოში შესვლის მიუხედავად, 19 აპრილის შეთანხნებას, ესე იგი, ე.წ. შარლ მიშელის დოკუმენტს ხელს არ აწერს. ერთი შეხედვით, ისე გამოდის, რომ „ნაციონალები" პრინციპულობას იჩენენ, მაგრამ რა პრინციპია მიშელის დოკუმენტზე ხელის არმოწერა მაშინ, როცა მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, არალეგიტიმურ პარლამენტში შევიდნენ ანუ საკითხავია, საკანონმდებლო ლეგიტიმურია თუ ყოფილმა მმართველებმა, უბრალოდ, ღირებულებები შეიცვალეს?

სხვათა შორის, ამ კითხვებზე პასუხები ენმ-ს ლიდერებმა არაერთხელ გასცეს. პარლამენტში შესვლის მათი მთავარი არგუმენტი კი ისაა, რომ საკანონმდებლო ორგანო ერთპარტიული აღარაა და ამ ფონზე, უმჯობესი იყო, პარლამენტში შესულიყვნენ და „ოცნებასთან" პოლიტიკური ომი იქიდან გაეგრძელებინათ.

კარგი, დავუშვათ, ასეა და შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, ბოიკოტს აზრი, შესაძლოა, მართლაც აღარ აქვს, მაგრამ რა ვუყოთ იმ განცხადებებს, რომელი განცხადებებიც მთელი შვიდი თვის განმავლობაში კეთდებოდა, ან სულაც, რას ეუბნებიან „მრისხანე" ოპოზიციონერები იმ ადამიანებს, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში – წვიმაში, თოვლში, დარსა თუ ავდარში ქუჩაში იყვნენ და გაყალბებულ არჩევნებს აპროტესტებდნენ?

ისე, ჩვენთვის რომ ვთქვათ, თავიდანვე ყველამ იცოდა, რომ ამ „კინოს" ბოლო, სწორედ ასეთი იქნებოდა. ამიტომაც, პოლიტიკურ კულუარებში მუსირებდა აზრი, რომ ბოიკოტით ოპოზიცია მმართველ გუნდთან, უბრალოდ, ვაჭრობდა. სხვათა შორის, „გაყიდვის" საკითხი დღის წესრიგიდან არც ახლა მოხსნილა. ყოველ შემთხვევაში, იგივე, ცალკეულ ოპოზიციონერებს აქვთ გონივრული ეჭვი, რომ ზოგიერთი მათი კოლეგა „სარფიანად გაიყიდა".

ზოგადად, პოლიტიკაში, ყოველ შემთხვევაში, ქართულ პოლიტიკაში, ყიდვა-გაყიდვა მხოლოდ ახლა კი არა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან აქტუალურია. აი, მაგალითად, შავ-ბნელ 90-იან წლებში, ყველამ, ან თითქმის ყველამ იცოდა, რომ ესა თუ ის პოლიტიკური პარტია ფინანსური მოგების მიზნით იქმნებოდა. კერძოდ, პარტიის ლიდერი, რომელიც რაღაც მანქანებით პიარდებოდა, არჩევნების დროს, ე.წ. გამსვლელ სიაში ადგილებს ყიდდა. ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური კორუფციაა, თუმცა პოლიტიკური კორუფციის ერთი კონკრეტული ფაქტიც არ გამოვლენილა. შესაბამისად, ისინი, რომლებიც დეპუტატობაზე ოცნებობდნენ და ამ ოცნებაში სერიოზული ფულიც გადაიხადეს, საბოლოო ჯამში, პირში ჩალაგამოვლებულები დარჩნენ, თან ისეთი ჩალაგამოვლებულები, რომ საკუთარი თანხაც ვერ დაიბრუნეს – აბა, სამართალდამცავებს ხომ არ მიმართავდნენ და ეტყოდნენ, ასე და ასეა ჩემი საქმე, ამა და ამ პარტიის ლიდერს „მეშოკით" ფული მივუტანე, მეგონა, რეიტინგი ჰქონდა და მისი პარტია ბარიერს გადალახავდა, მაგრამ მწარედ მოტყუებული აღმოვჩნდიო?!

სამართალდამცავებისთვის, ამ „ბლეფის" შესახებ, რომელიმე „მოტყუებულს" რომ მოეყოლა, სანამ პარტიის გაიძვერა ლიდერს „გასკვანჩავდნენ", თავად „ამღიარებელს" დაადებდნენ ბორკილებს, რადგან კანონმდებლობით, ქრთამის მიმცემიც ისევე ისჯება, როგორც ამღები.

ერთი სიტყვით და ორი გაგებით, დღე-დღეს მისდევს, თვე-თვეს, წელი-წელს, ქართულ პოლიტიკაში კი არაფერი იცვლება და „მოსყიდვაზე" ეჭვები, უწინდებურად აქტუალურია.

ზოგადად, პოლიტიკური კორუფცია ცალკე საუბრის თემაა და მოდით, ამაზე ვრცლად, სხვა დროს ვისაუბროთ. ახლა კი ისევ დავსვათ კითხვა: ვინ დარჩა მოგებული 7-თვიანი ბოიკოტით – ოპოზიცია თუ ხელისუფლება?

ოპოზიცია ღრმადაა დარწმუნებული, რომ მოგებული თავადაა ანუ ოპოზიციონერები იმედოვნებენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, „ქართული ოცნება" 43-პროცენტიან ბარიერს ვერ გადალახავს, რაც მიშელის დოკუმენტის თანახმად, 2022 წლის გაზაფხულზე, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის საბაბი გახდება, მაგრამ მოდით, ვიყოთ გულწრფელები და ვთქვათ, რომ ეს ოპოზიციის ოცნებაა და მეტი არაფერი.

ახლა, ვიღაცები თავს გამოიდებენ, დიახაც, მმართველი გუნდი ადგილობრივში, აუცილებლად ფისკოს განიცდისო, მაგრამ შარშანდელ საპარლამენტოზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ალბათ, გახსოვთ, რომ იგივე მოლოდინი არსებობდა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს. კერძოდ, ენმ და, ზოგადად, ოპოზიცია დარწმუნებული იყო, რომ სალომე ზურაბიშვილი პირველსავე ტურში დამარცხდებოდა და პრეზიდენტი გრიგოლ ვაშაძე გახდებოდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ საქმე მეორე ტურამდე მივიდა. მეორე ტურში კი ვაშაძე დამარცხდა.

მართალია, ოპოზიცია მაშინაც ამბობდა, რომ არჩევნები გაყალბდა, მაგრამ ფაქტია – თუ პირველ ტურში ვაშაძეს ხმა მილიონამდე ამომრჩეველმა მისცა, მეორე ტურში ისინიც კი დაირაზმნენ, რომლებიც პოლიტიკაში საერთოდ არ ერევიან და არჩევანი სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ გააკეთეს.

სალომე ზურაბიშვილი, მოგეხსენებათ, პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატი იყო, მაგრამ „ოცნება" მხარს ოფიციალურად უჭერდა. შესაბამისად, ე.წ. შუაშისტებმა ჩათვალეს, რომ გრიგოლ ვაშაძის გაპრეზიდენტებას, სჯობდა, ქვეყნის სახე სალომე ზურაბიშვილი ანუ „ოცნებისგან" მხარდაჭერილი კანდიდატი გამხდარიყო. ასეთი გადაწყვეტილება კი, იგივე, „შუაშისტებმა" იმიტომ მიიღეს, რომ შეეშინდათ, ემანდ, „ნაცები" არ დაბრუნდნენ და ქვეყანაში ისევ ის უბედურება არ დაიწყოს, რაც 2003-დან 2012 წლამდე ხდებოდაო.

ახლა, სიმართლე რომ ვთქვათ, ერთ მდინარეში, მით უმეტეს, პოლიტიკურ მდინარეში შესვლა არცთუ ადვილია. ამიტომაც, „ნაციონალებს" მაინცდამაინც დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეთ, რომ თუნდაც შემოდგომაზე, როცა თეორიულად, შესაძლოა, ვადამდელი დაინიშნოს, ფინიშს პირველები მიაღწევენ. აქ იმაზეა ლაპარაკი, რომ ოპოზიციის თითქმის ყველა ფრთა თანხმდება, ქართული პოლიტიკა ორპოლუსიანი აღარ უნდა იყოს ანუ დრო, როცა „პარადი" მხოლოდ „ქოცებს" და „ნაცებს" მიჰყავთ, უნდა დამთავრდეს.

დღევანდელი მოცემულობა კი ამ ორპოლუსიანობის დასამთავრებლად ნოყიერ ნიადაგს ქმნის და აი, რატომ:

ოპოზიციას უკვე ღიად აქვს ნათქვამი, რომ თბილისის მერობაზე, ნიკა მელიას მხარს არ დაუჭერს ანუ ენმ-ს ლიდერი ოპოზიციის საერთო კანდიდატი არ იქნება. სხვათა შორის, ამის პრეტენზია არც თავად მელიას აქვს. ყოველ შემთხვევაში, ის ამბობს, რომ თუ თანასწორი საარჩევნო გარემო არ იქნება, მაშინ, თბილისის მერობისთვის არ იბრძოლებს.

პარალელურად, „ლელო" თუ სხვა ოპოპარტიები აცხადებენ, რომ მერობის საკუთარი კანდიდატები ეყოლებათ. ამასთან, ადგილობრივ არჩევნებში ჩაბმას ექსპრემიერ გიორგ გახარიას ახლადშექმნილი პარტია „საქართველოსთვისაც" აპირებს.

ასე და ამგავარად, თბილისელებს მრავალფეროვანი პოლიტმენიუდან მოუწევთ, რომ დედაქალაქის მერი აირჩიონ.

მოგეხსენებათ, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან ხოლმე. ეს ხატოვანი გამონათქვამი რეალობად, შესაძლოა, სწორედ წლევანდელ შემოდგომაზე იქცეს ანუ იმის თქმა, რომ ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკური ველიდან საერთოდ გაქრება, არ შეიძლება, მაგრამ თუ დღევანდელი კონფიგურაცია, უფრო სწორად, პოლიტელიტის ახლანდელი თამაში გაგრძელდა, მაშინ, სავსებით შესაძლებელია, რომ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, სრულიად ახალი პოლიტიკური რუკის მოწმენი გავხდეთ.

„დასავლელი პარტნიორები კულუარებში აღიარებენ, რომ არჩევნები გაყალბდა“

როგორ ასაბუთებს ენმ-ს წევრი პარლამენტში შესვლას

თათია გოჩაძე
598-43-50-34

შვიდთვიანი ბოიკოტი დასრულდა – საქართველოს პარლამენტში ნაციონალური მოძრაობაც შედის, თუმცა როგორც პარტიის თავმჯდომარე ნიკა მელიამ განაცხადა, შარლ მიშელის მიერ შემოთავაზებულ შეთანხმების დოკუმენტს ხელს არ აწერს. „ნაცმოძრაობისთვის“ მიუღებელი ამნისტიის შესახებ პუნქტი აღმოჩნდა. „ვერსია“ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელ ნონა მამულაშვილს ესაუბრა, რომლის თქმითაც, როგორც დეპუტატი, საკანონმდებლო ორგანოში საქმიანობას, მომავალი კვირიდან შეუდგება:

– ქალბატონო ნონა, თუ პარლამენტში შესვლა გადაწყვიტეთ, შარლ მიშელის დოკუმენტს ხელს რატომ არ აწერთ?

– ამ დოკუმენტთან მიმართებაში, ჩვენი პოზიცია თავიდანვე ნათელი იყო: მიუხედავად იმისა, რომ მივესალმებით ევროკავშირის ასეთ ძალისხმევას, რითაც პოლიტიკური კრიზისი დასრულდა საქართველოში, რაც უპრეცედენტოა იმიტომ, რომ არ არსებობს პრეცენდენტი, ევროკავშირს გამოესყიდა პოლიტიკური ტყვეობიდან პიროვნება, არ ვეთანხმებით ამნისტიის შესახებ პუნქტს, რომელიც ჩადებული იყო შეთანხმებაში. „ქართულმა ოცნებამ“ ისეთი ინტერპრეტირება გაუკეთა, რომელიც თავად აწყობს, რათა გადაარჩინოს სისხლის სამართლის დამნაშავეები. არადა, ეს პუნქტი ჩაიდო მხოლოდ იმისთვის, რომ ნიკა მელია და გიორგი რურუა დაეხსნათ ტყვეობიდან, „ქართულმა ოცნებამ“ კი მორიგი „ტრიუკი“ ჩაატარა და გადაათამაშა ისე, რომ დამნაშავეები პასუხისმგებლობას აარიდოს. ეს ძალიან პრინციპული საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ ხელი არ მოვაწერეთ შარლ მიშელის დოკუმენტს, ყველანაირად ჩართულები ვიქნებით და ვიმუშავებთ ყველაფერზე, მაგრამ ამნისტიის შესახებ პუნქტი, ჩვენთვის სრულიად მიუღებელია.

– ამნისტიის შესახებ პუნქტი დოკუმენტში მაშინ ჩაიდო, როცა მელია უარს აცხადებდა გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებაზე. შემდეგ კი დათანხმდა, თუმცა ეს მაშინ მოხდა, როცა მოლაპარაკების მხარეები ვეღარ ამოიღებდნენ ვერც ერთ პუნქტს ხელმოწერილი დოკუმენტიდან. ამიტომ, აქ ნიკა მელიასა და „ნაციონალური მოძრაობის“ პასუხისმგებლობას ვერ ხედავთ?

– ნიკა მელია პირველივე დღიდან აცხადებდა, რომ არ აპირებდა გირაოს გადახდას, რადგან ის იყო პოლიტიკური პატიმარი და ეს აღიარა ევროკავშირმაც. პოლიტიკური პატიმრის ამ სახით შანტაჟი კი აბსოლუტურად მიუღებელია, თუმცა ეს „ქართული ოცნებისთვის“ უცხო არაა. გვაჩვენეს ბოლო 8 წლის განმავლობაში, რომ სამართალი მაქსიმალურად პოლიტიზირებულია...

– კი, მაგრამ შემდეგ ხომ დათანხმდა მელია გირაოს?

– ამ შეთანხმების მიხედვით, ტექნიკურად, მელიას თანხმობა საჭირო არც იყო, რომ ევროკავშირს ეს გაეკეთებინა. ეს „ოცნების“ პიარსვლა იყო, თითქოს მელიას თანხმობა სჭირდებოდა და ვნახეთ ეს ხელისუფლებისთვის რითაც დასრულდა – ფაქტობრივად, მოუწია აღიარება, რომ ჰყავდა პოლიტიკური პატიმარი, რომელიც გამოისყიდა ევროკავშირმა. ასეთი პრეცენდენტი გახსენდებათ? – მსგავსი რამ არ ყოფილა.

– ქალბატონო ნონა, როგორ ფიქრობთ, თქვენი პარლამენტში შესვლით, ამომრჩეველი არ დაიბნევა? პარტიები ერთმანეთის მიყოლებით შედიან პარლამენტში და აგვიხსენით, რა მოხდა ასეთი პოლიტიკურ სივრცეში, რამაც ბოიკოტი დაგასრულებინათ?

– ოპოზიციას ერთადერთი ინსტრუმენტი – ბოიკოტი დარჩა, რომ გაეპროტესტებინა არჩევნების შედეგები. კულუარებში, დასავლელი პარტნიორები აღიარებენ, რომ რეალურად იციან, გაყალბდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ ჰყავდათ საკმარისი დამკვირვებლები და ეს იყო ის გარღვევა, რის გამოც, ამაზე უფრო ხმამაღლა ვერ ლაპარაკობენ.

რაც შეეხება ჩვენს ამომრჩეველს, პირველივე დღიდან ვუხსნიდით, თუ რატომ იყო ბოიკოტი საჭირო და რა რეზულტატი მოიტანა.

– და რა რეზულტატი მოიტანა?

– ის, რომ პოლიტპატიმრები დავიხსენით. პრემიერ-მინისტრი თანამდებობიდან გადადგა, პარლამენტის თავმჯდომარეები, ერთი-მეორეს მიყოლებით, გადააყენეს. ევროპამ და აშშ-მა ასეთი ყურადღება მიაქცია ჩვენს ქვეყანას, როცა, პრაქტიკულად, რუკიდან ვიყავით წაშლილი „ქართული ოცნების“ პერიოდში, რომელმაც ყველანაირად სცადა, საქართველოს თემა არც ერთ საერთაშორისო ფორმატში არ გაჟღერებულიყო. ახლა კი ევროკავშირმა და აშშ-მა აჩვენეს, რომ საქართველოს არ დაუთმობენ რუსეთს, რაც, სწორედ, ამ ბოიკოტის შედეგია. შარლ მიშელი, ამხელა რანგის დიპლომატები ჩამოვიდნენ საქართველოში, სენატმა მოსმენა მოგვიძღვნა, უამრავი სტატია დაიწერა საერთაშორისო პრესაში და ბოლო 8 წლის განმავლობაში გახსენდებათ, რომ ასეთი გამოხმაურება ჰქონოდა საქართველოს?

– როგორც ოპოზიცია ამბობდა, ბოიკოტის შედეგი უნდა ყოფილიყო ვადამდელი არჩევნები. ასე არაა?

– რეალურად, ეს 43%-იანი ბარიერი, რომელიც ჩაიდო დოკუმენტში, არის ის რეფერენდუმი, რომელსაც ვითხოვდით. აქ ლაპარაკი მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე კი არა, იმაზეა, რომ მოსახლეობამ უნდა გააკეთოს არჩევანი – იქნება თუ არა ვადამდელი არჩევნები და დარჩება თუ არა „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში.

– ისე, პარტიაში როგორი მოლოდინი გაქვთ, „ქართულ ოცნებას“ აქვს რესურსი, რომ 43% აიღოს ადგილობრივ არჩევნებში?

– ეს ციფრი რომ დაიდო, ევროკავშირს მოუწია სხვადასხვა ვარიანტზე მუშაობა და შეთანხმდნენ „ქართული ოცნებისთვის“ მისაღებ 43%-ზე. რაც შეეხება ჩვენს ამომრჩეველს, სანამ პოზიციას გავაჟღერებდით, მათ აქტიურად ვესაუბრეთ. შიდა კვლევაც ჩატარდა, რომ გაგვეგო, უნდა თუ არა ჩვენს ამომრჩეველს, რომ შევიდეთ პარლამენტში და დადებითი შედეგი მივიღეთ, 50%-ზე მეტს უნდოდა, რომ პარლამენტში ვყოფილიყავით.

რაც შეეხება საშემოდგომო არჩევნებს, წინა კვირას, ბრიუსელში, ბატონ მიხეილ სააკაშვილთან ერთად, აქტიური შეხვედრები გვქონდა ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან და ერთადერთი საკითხი, რაზეც ვთანხმდებით, ისაა, რომ შარშანდელ საპარლამენტო არჩევნებში არ იყო დამკვირვებლების საკმარისი რაოდენობა. ძალიან ცოტა დამკვირვებელი ჩამოვიდა.

– პანდემიის გამო იყო ეს შეზღუდვა...

– პანდემია, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი, ძალიან გამოადგა „ქართულ ოცნებას“, რეალურად, 100 დამკვირვებელი არაა საკმარისი. ამიტომ, ვთხოვეთ და პარტნიორებიც დაგვპირდნენ, რომ მაქსიმალურად ეცდებიან, ამ არჩევნებზე ჰყავდეთ დამკვირვებლების უპრეცედენტო რაოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნება“ ეცდება, გააყალბოს, რადგან თავადაც იცის, რომ სხვანაირად ვერ მიიღებს 43%-ს, ჩვენ გვეყოლება საერთაშორისო დამკვირვებლები და ვეცდებით, მაქსიმალურად გავაკონტროლოთ პროცესი, რათა არ გაყალბდეს.

როგორ მოიპოვა „მთავარმა“ ლევან ვასაძისა და კრემლის იდეოლოგის მოსკოვური შეხვედრის ვიდეოჩანაწერი

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

26 მაისს, როცა მთელი საქართველო დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავდა, ქართულ პოლიტიკაში ახლადშემოსული „რაინდი“ ლევან ვასაძე, რუსეთში, ალექსანდრე დუგინს შეხვდა. ფაქტის ამსახველი ვიდეო, ტელეკომპანია „მთავარმა“ ექსკლუზიურად მოიპოვა და გაავრცელა. ვინ არის ალექსანდრე დუგინი, რა გავლენები აქვს და რა საფრთხე ემუქრება საქართველოს? – „ვერსია“ ანალიტიკოს მამუკა არემშიძეს ესაუბრა:

ვინ არის დუგინი – პუტინის მეგობრის უცნობი დოსიე

– დუგინს პირადად ვიცნობ. მართალია, ბოლოს 2002 წელს შევხვდი, მაგრამ 90-იანებში, ურთიერთობა გვქონდა. ჩემს თვალწინ, დუგინმა უცნაური მეტამორფოზა სამჯერ განიცადა. პირველად, პეტერბურგული „ანდერგრაუნდის“ ერთ-ერთი წევრი იყო, სადაც ისეთი ხალხი იყვნენ გაერთიანებულნი, როგორებიც გახლდათ ვიქტორ ცოი, ცნობილი მსახიობი დუბიჩი, რეჟისორი სალავიევი და სხვები. ეს ადამიანები მუსიკალურ სივრცეში ქმნიდნენ ახალ მიმდინარეობას და ცდილობდნენ, პოლიტიკური გზავნილები მუსიკის მეშვეობით გადმოეცათ. ამასთან, არალეგალურ ლიტერატურას ქმნიდნენ კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ. მაშინ ახალგაზრდები იყვნენ და დუგინიც მათ შორის იყო. ის იყო რუსული, კომუნისტური, იმპერიალისტური იდეის მოწინააღმდეგე, საკმაოდ კარგი ანალიტიკოსი გახლდათ და მოქნილი ტვინიც ჰქონდა.

შემდეგ ჩამოყალიბდა, როგორც რუსული ნაციონალური იდეის ერთ-ერთი აპოლოგეტი და მისმა იდეოლოგიურმა გზავნილებმა ძალიან შეუწყო ხელი პუტინის პორტრეტის ჩამოყალიბებას. პუტინისა და დუგინის ურთიერთობა მაშინ დაიწყო, როცა 1991 წლის აგვისტოს „პუტჩის“ გამო, პუტინმა პარტბილეთი დატოვა – კომპარტიიდან გავიდა, რისი გახსენებაც დღეს მაინცდამაინც არ სიამოვნებს, მაგრამ ასე იყო.

2000-იან წლებში, პუტინმა დუგინის იდეოლოგიური ნარატივი – ნაციონალისტური იდეოლოგია გამოიყენა. დუგინიც მონაწილეობდა სუვერენული დემოკრატიის ჩამოყალიბების პროცესში. მართალია, დუგინი უფრო მემარჯვენე იყო, ვიდრე – პუტინის ფილოსოფია, მაგრამ ასე მოხდა.

მოკლედ, დუგინის მეტამორფოზის შემდეგი საფეხური ეს იყო – მარტივად რომ ვთქვა, პანკიდან უცებ ულტრანაციონალისტი გახდა. იმ პერიოდში, შეიქმნა ტელეკომპანია „ცარგრადი“, რომელიც ნაციონალისტურ-მართლმადიდებლურ საფუძველზე იდგა.

ბოლო წლებში კი დუგინის მიდგომები შეიცვალა, უფრო გადავიდა ცენტრისკენ და აქედან გამომდინარე, მისი დამოკიდებულება კრემლისა და განსაკუთრებით, დუმის იდეოლოგებთან დაიძაბა. ახლა უფრო ცენტრისტული ხედვები აქვს, მაგალითად, უშვებს, რომ რუსეთმა არასწორი ნაბიჯები გადადგა ოკუპაციის თვალსაზრისით. უკრაინელებთან დაკავშირებითაც შეურიგებელია. მიიჩნევს, რომ უკრაინელები არიან სლავური იდეის ნაწილი, მაგრამ სხვა დამოკიდებულება აქვს, მაგალითად, ქართველების მიმართ, რომელთაც არ თვლის სლავური იდეოლოგიის ნაწილად. სხვათა შორის, ძალიან საინტერესოა შევჩენკოს მიერ გახმოვანებული ზოგიერთი გზავნილი, რომელმაც ასევე, მეტამორფოზა განიცადა და რომელთანაც ხელჩართული ბრძოლა მქონდა 2006 წელს, ზუსტად ამ ნარატივების გამო.

2014 წელს, როცა პატრიარქი ეწვია მოსკოვს, შევრიგდით და ის თავდახრილი მოვიდა. დღეს შევჩენკოს საუბარი აბსოლუტურად განსხვავებულია, მაგრამ თუ მას კრემლთან დაეძაბა ურთიერთობა და ჩამოაშორეს, დუგინის შემთხვევაში ასე არ მოხდა – მიუხედავად იმისა, რომ მასაც დაეძაბა ურთიერთობა კრემლის ბევრ იდეოლოგთან, მათ შორის, სურკოვთანაც კი, როგორც ჩანს, მისი პუტინთან დამოკიდებულება არ შეცვლილა, ვგულისხმობ პირად ურთიერთობას.

ასეა თუ ისე, დღეს დუგინის მიდგომები პოსტსაბჭოთა სივრცის განვითარების მიმართ, ბევრად უფრო მოქნილი და „ლიბერალურია“, ვიდრე ადრე იყო, ხედვები შეეცვალა.

მოკლედ, ასეთი პიროვნებაა, მოქნილი ტვინის ადამიანად ითვლება, მაგრამ ნაციონალიზმის „შლეიფი“ მოჰყვება.

– თუ პუტინთან ურთიერთობა შეინარჩუნა, ე.ი. დუგინი პუტინის პირად იდეოლოგად უნდა ჩავთვალოთ?

– არა, პუტინის იდეოლოგად აღარ ითვლება იმიტომ, რომ მისი მიდგომები შეიცვალა. მისი იდეოლოგიური ნარატივები კრემლისთვის საჭირო აღარაა, მაგრამ პირადი ურთიერთობა ნამდვილად აქვს.

– ბატონო მამუკა, როგორ ფიქრობთ, ასეთი მოქნილი ტვინის პატრონი, თანაც ისეთი „ბეგრაუნდით“, რასაც თქვენ ჰყვებით, რატომ შეიძლება, ხვდებოდეს ლევან ვასაძეს, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ გამოჩნდა ქართულ პოლიტიკაში?

– ვასაძესა და დუგინს დიდი ხნის უერთიერთობა აქვთ. კარგად იცნობენ ერთმანეთს და სხვა წყაროებიდანაც ვიცი, რომ სერიოზული დავა ჰქონდათ 2009 წელს, ოკუპაციასთან დაკავშირებით. ვინაიდან, დღეს დუგინის მიდგომები შეიცვალა, როგორც ჩანს, ლევან ვასაძემ გადადგა ეს ნაბიჯი, მისი კავშირების გამოყენების თვალსაზრისით. როცა ლევან ვასაძე ასპარეზზე გამოვიდა, თქვა, რომ იწყებს რუსეთთან დიალოგის პროცესს, რათა დეოკუპაციის პროცესი დაჩქარდეს. იმის თქმა, ეს შედეგიანი იქნება თუ არა, გამიჭირდება, რადგან რუსებს მტერი ენდო, მაგრამ დიალოგის გარეშე, შედეგი არ გვაქვს. რატომ არ შეიძლება, ერთი პოლიტიკური ფიგურა გამოვყოთ რუსეთთან დიალოგის საწარმოებლად და შემდეგ შევხედოთ, როგორ განვითარდება მოვლენები? გახსოვთ, ალბათ, როცა გასალანძღი გავხდი საქართველოს, ოკუპაციური რეჟიმისა და სეპარატისტების მხრიდან იმის გამო, რომ ვთქვი, დავიწყოთ პროცესი აფხაზეთის აღიარებისა-მეთქი. ეს იყო 2011 წელს, ვამბობდი, რომ პროცესი შეგვექმნა. აღიარება დადგებოდა თუ არა, ეს მეორე საკითხია, მაგრამ სტრიქონებს შორის, ეს ვერავინ წაიკითხა ვერც თბილისში, ვერც – სოხუმში და ვერც – მოსკოვში.

ასე რომ, ინიციატივებია საჭირო, თორემ სხვაგვარად არაფერი გამოვა.

26 მაისს რომ შედგა ეს შეხვედრა, რასაკვირველია, ჩემთვისაც არასასიამოვნო და მიუღებელია. მეორე მხრივ, ლევან ვასაძე დუგინს შეხვდება თუ პუტინს, მისი გადასაწყვეტია. ვასაძის პოლიტიკურ ფიგურაზე იმსჯელებენ იმის მიხედვით, რა შედეგებს მოიტანს ეს შეხვედრები.

რასაკვირველია, დასავლეთთან ჩვენს ურთიერთობას დღეს ალტერნატივა არ აქვს და ვერც ექნება იმიტომ, რომ დასავლეთი ქმნის საქართველოს სახელმწიფოებრიობის გარანტიას, მაგრამ მეორე მხრივ, თუ ინიციატივიანი პოლიტიკა არ გვექნება, ფილოსოფიური თვალსაზრისით, კოლონიალურ ყოფაში ვიქნებით – ერთ ქვეყანაზე დამოკიდებულები, რომლის ნება-სურვილი გადამწყვეტი იქნება.

– კი, მაგრამ როგორც ამბობს, დუგინმა მნიშვნელოვან საკითხებზე პოზიცია მრავალჯერ შეიცვალა და ასეთი ადამიანი სანდოა?

– ნუ გადააკეთებთ ჩემს ნათქვამს. ადამიანს ახასიათებს საკუთარი ფასეულობების გადახარშვა და შემდეგ, ასაკთან ერთად, სხვა მიდგომების დემონსტრირება, შემიძლია, ამის ბევრი მაგალითი მოვიყვანო. ამიტომ, არასანდოობაზე არ არის ლაპარაკი, მისი ფასეულობების გადაფასება მოხდა. თუ სანდოობაზე ვსაუბრობთ, რამდენად მყარად დგას ის დღევანდელ ფასეულობებზე, ეს შესამოწმებელია...

რაც შეეხება ამ ჩანაწერის ტელეკომპანია „მთავარის“ მიერ გავრცელებას, კითხვები არ გიჩნდებათ? – ე.ი. ისეთი კონტაქტები აქვთ, რომ ერთ საათში, შეხვედრის სრული ანატომია იციან – ეს ეჭვებს არ ბადებს?! ვის შეეძლო ამის გაკეთება? ჩვენ ხომ ვიცით, რომ რუსეთი არის ავტორიტარული ქვეყანა, სადაც სპეცსამსახურების მუშაობაზეა აგებული მთელი სახელმწიფოს ძლიერება. აქედან გამომდინარე, რაღაც დასკვნის გამოტანა შეიძლება.

როცა სხვა ქვეყნის პატარა ტელეკომპანია, შეხვედრიდან ერთი საათის შემდეგ, ვიდეო-გამოსახულებას იღებს იმის თაობაზე, თუ რა ხდებოდა ორი ადამიანის შეხვედრაზე – ან ინფორმატორი ჰყავს ჩანერგილი ამ ტელევიზიას ლევან ვასაძის გარემოცვაში, მაგრამ ამ მოცემულობისთვის ეს ნაკლებსავარაუდოა, ან თანამშრომლობაა იმ ქვეყნის სპეცსამსახურთან, რომელსაც ეს ტელევიზია დღე და ღამ აგინებს. არ მინდა, ეს ვერსიები დავიჯერო, ამიტომ კითხვას ღიად ვტოვებ – რას გვკარნახობს ლოგიკა?

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ მაქსიმალურად ცდილობენ, სოციალურ ქსელებში ეს ფაქტი მიიჩქმალოს – როგორ მოხდა ეს ვიდეო, ერთი საათის ინტერვალით, ქართულ ტელესივრცეში.

– გამორიცხავთ, რომ ტელევიზიის რომელიმე წყარო, შემთხვევით, წააწყდა ამ ამბავს?

– როგორ ხდება სულ ასე, შემთხვევით დანახვა და ინფორმაციის მოპოვება? ეს შემთხვევითობის ხარისხი იმდენად გაიზარდა, ჩემში აღძრავს გონივრულ ეჭვს, რომ ეს ასე მარტივად არ ხდება.

კახა კუკავა ე.წ. საარჩევნო ფულზე შეზღუდვების დაწესებას ითხოვს

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

„რაზეც საპარლამენტო ოპოზიცია და ხელისუფლება შეთანხმდა, რეფორმა კი არა, ფიქციაა!“

„ქართული ოცნებისა“ და საპარლამენტო ოპოზიციის ერთობლივი კონსულტაციების შედეგად, შემუშავდა საარჩევნო რეფორმის კანონპროექტი, რომელიც შესაფასებლად ვენეციის კომისიას გადაეგზავნა. ხელისუფლებისა და მისი ოპონენტების თქმით, კანონპროექტი მეტ-ნაკლებად კომპრომისულია და შარლ მიშელის დოკუმენტს შეესაბამება. კერძოდ, კანონპროექტში წერია, რომ ცესკო დაკომპლექტდება 17 წევრისგან, საიდანაც შვიდს, პრეზიდენტის წარდგინებით, აირჩევს პარლამენტი ხმების 2/3-ით, ცხრა წევრი კი ინიშნება პარტიების მიერ. ცესკო-ს თავმჯდომარეს ორი მოადგილე ეყოლება, რომელთაგან ერთს აირჩევს პარლამენტი, მეორეს კი – ოპოზიციური პარტიები. ცესკო-ს თავმჯდომარეს პარლამენტი ღია კონკურსის წესით აირჩევს და მისი უფლებამოსილების ვადა ხუთი წელი იქნება, თუ ის არჩეულ იქნა პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით, სხვა შემთხვევაში კი – ექვსი თვით. ასევე, იარსებებს ცესკო-ს საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც უნდა შედგებოდეს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლისა და არჩევნებზე დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ შერჩეული ექსპერტებისგან. ცვლილებების მიხედვით, საოლქო საარჩევნო კომისია უნდა შედგებოდეს არაუმეტეს 17 წევრისგან და კომისია ვალდებულია, გახსნას შესაბამისი საარჩევნო დოკუმენტაცია, ხელახლა დათვალოს კენჭისყრის შედეგები იმ შემთხვევაში, როცა საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში, ისე, რომ მას არ ახლავს შესწორების ოქმი, გადასწორებულია სუბიექტების მიერ მიღებული ხმები, ამომრჩეველთა რაოდენობა ან/და ბათილი ბიულეტენების რაოდენობა.

თბილისის საკრებულო 50 წევრით დაკომპლექტდება, 10 მაჟორიტარული წესით იქნება არჩეული, ხოლო 40 წევრი – პროპორციულით. დედაქალაქში საარჩევნო ბარიერი 2.5% იქნება. ცესკო უზრუნველყოფს ყველა უბანზე მისულ ამომრჩეველთა რეგისტრაციას ელექტორნული რეგისტრატორით – ეს არასრული ჩამონათვალია იმ პუნქტებისა, რომლებზეც ვენეციის კომისია მსჯელობს. სულ მალე, პროექტთან დაკავშირებით, საკუთარ შეფასებასა და რეკომენდაციებსაც წარადგენს.

27 მაისს, საარჩევნო რეფორმის შესახებ, პარლამენტის თავმჯდომარეს არასაპარლამენტო ოპოზიცია შეხვდა, რომელიც კანონპროექტს აკრიტიკებს და აცხადებს, რომ რეალური საარჩევნო პრობლემების მოსაგვარებლად, პროექტში განსხვავებული პუნქტების შეტანაა საჭირო. „ვერსია“ თავისუფალი საქართველოს ლიდერ კახა კუკავას ესაუბრა:

– რაზეც საპარლამენტო ოპოზიცია და ხელისუფლება შეთანხმდა, რეფორმა კი არა, ფიქციაა და ცოტა უხერხულიცაა ის საკითხები, რასაც რეფორმად ასაღებენ, მაგალითად, ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილის შტატის დამატება. ვესწრებოდით კომიტეტის სხდომას, რომელზეც გამოიტანა პაპუაშვილმა მმართველი პარტიის პროექტი და მასში ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც კი არაა გათვალისწინებული. რეალური პრობლემები, რაც საარჩევნო პროცესში დაგროვდა, შევთავაზეთ არასაპარლამენტო ოპოზიციამ, რაზეც ხელისუფლებისა და საპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან დაფიქსირდა ნეიტრალური, ლოიალური განწყობა.

– თქვენ მიერ შეთავაზებული ძირითადი საკითხები რა არის?

– მაჟორიტარულ ოლქებში უნდა იყოს 50%-იანი ბარიერი, რადგან ქართულ რეალობაში, ამის გარეშე მაჟორიტარული არჩევნების ჩატარებას აზრი არ აქვს. არსებული სისტემით, მაჟორიტარულ მანდატებს პირდაპირ ჯიბეში იდებს ხელისუფლება და როგორ უნდა მოიგოს ოპოზიციამ არჩევნები, როცა წინასწარ ჯიბეში უდევს ხელისუფლებას მანდატების მესამედი?

მეორე უმნიშვნელოვანესი საკითხი, საარჩევნო უბნებზე ბიომეტრული ვერიფიკაციაა. ყველა მთავრობა იყენებდა „კარუსელს“, რაც უძლიერესი მექანიზმია არჩევნების გაყალბებაში. საქმე ისაა, რომ საქართველოში, სულ 3.5 მილიონი ამომრჩეველია და მათგან საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება 2.5 მილიონი ანუ მილიონი ადამიანის ლუფტი აქვს ხელისუფლებას. ეს არის იმ ხალხის სია, რომლებიც გასულები არიან ქვეყნიდან. ხელისუფლება ბეჭდავს ამ ხალხის ყალბ პირადობის მოწმობებს, ურიგებს პარტაქტივისტებს, რომლებიც შედიან საარჩევნო უბნებზე და ხმას ამ მოწმობებით აძლევენ.

– კი, მაგრამ ყველა უბანზე ხომ ხდება მარკირება და მისი შემოწმება?

– ალბათ, გაგიგიათ ტერმინი – „გამწვანებული უბნები“, რაც საშუალოდ, ყოველი მე-4 უბანია, სადაც მარკირების შემსრულებელი პირი ხელისუფლების წარმომადგენელია.

– ოპოზიციას ხომ ჰყავს კომისიის წევრები და დამკვირვებლები უბანზე?

– საქმეც ამაშია: დამკვირვებელი ვერაფერს იზამს, ვერ შეძლებს, ყველას უთხრას, მანახე თითიო, ვისაც დაანათებენ მარკირების შემოწმებისას.

რაც შეეხება ბიომეტრიულ ვერიფიკაციას, ეს გულისხმობს, რომ ახალი პირადობის მოწმობები არის ბიომეტრიული, აქვს ჩიპი და სპეციალური ფოტო, რომელსაც კომპიუტერი აღიქვამს და როცა უბანზე მივა ადამიანი, პირადობის მოწმობას კი არ ანახებს, არამედ, სპეციალურ წამკითხველ აპარატს დაადებს. ეს კი ბევრად დიდი კონტროლია.

ჩვენს მიერ შეთავაზებული მესამე მნიშვნელოვანი საკითხი ფინანსების შეზღუდვაა. გამოვდივართ ინიციატივით, რომ ერთმა პარტიამ, შეიძლება, ერთ არჩევნებზე დახარჯოს ქვეყნის მშპ-ის 0.01%, რაც, დაახლოებით, 4 მილიონი ლარი გამოდის. მიგვაჩნია, რომ ეს თანხა საქართველოსნაირ პატარა და ღარიბ ქვეყანაში აბსოლუტურად საკმარისია იმისთვის, რომ პარტიამ ჩაატაროს სრულყოფილი კამპანია. საქართველოს არჩევნებში იხარჯება არანორმალური ფული, მმართველი პარტია ხარჯავს უფრო მეტს, ვიდრე გერმანიის მმართველი პარტია. გერმანია ევროპის უმდიდრესი ქვეყანაა, საქართველო კი უღარიბესი და ეს რამდენად ნორმალურია, საზოგადოებამ განსაჯოს.

მეორე საკითხია, რომ არჩევნებში დახარჯული ფულის 80-90% მმართველი პარტიისაა, 10%-ს კი ყველა ოპოზიციური პარტია ხარჯავს ჯამში, რაც არსად ხდება. ფინანსური შეზღუდვა, ნაწილობრივ, მოსყიდვის პრევენციაც გახლავთ, თუმცა მოსყიდვა იმდენად რთული ფენომენია, რომ მისი მხოლოდ კანონმდებლობით შეზღუდვა გაძნელდება. ამიტომ, იმ დარგში ვახდენთ ფულის ხარჯვის კონტროლს, სადაც არალეგალური ფული ვერ გამოიყენება, მაგალითად, ესაა სატელევიზიო რეკლამა, ოფისების დაქირავება და ა.შ. სამწუხაროდ, არსებობს საარჩევნო ხარჯები, რომლებიც არაა გამჭვირვალე, მაგალითად, საწვავის თანხა და ხელფასები, რაც გაიცემა „შავ ფულად“. შეზღუდვა, რაზეც ვსაუბრობთ, გავრცელდება, როგორც მმართველ პარტიაზე, ასევე, ოპოზიციაზეც. სხვათა შორის, რამდენიმე ისეთმა ოპოზიციურმა პარტიამ შეიცხადა ეს შეზღუდვა, რომელთაც ოფიციალურად, თითო მილიონი აქვთ დეკლარირებული. ვეუბნები, 4 მილიონზე მეტი არ უნდა დახარჯოთ-მეთქი და ეს შეიცხადეს, რაც აღიარებაა, რომ რეალურად, რა თქმა უნდა, მეტს ხარჯავენ.

– ბატონო კახა, არის საკითხი, რომელიც ხელისუფლების მიერ შემუშავებულ კანონპროექტში მოგეწონათ?

– კომიტეტზეც ვთქვი, რომ ერთადერთი პუნქტი მომეწონა, რაზეც თქვეს, საბოლოოდ გადაწყვეტილი არ გვაქვსო – ესაა ბიომეტრიული ვერიფიკაცია. თქვეს, ამას ვაპირებთო, მაგრამ დასძინეს, ჯერ უნდა გავარკვიოთ ექსპერტებთან, რამდენად მოესწრება ტექნიკურადო, რაც ნიშნავს, რომ ბოლოს იტყვიან, იდეა კარგია, მაგრამ ვერ მოესწრებაო.

– ისე, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას აპირებთ?

– დიახ, პარტია თავისუფალი საქართველო მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, მაგრამ პირადად მე, არ მაქვს გადაწყვეტილი, სადმე ვიქნები თუ არა კანდიდატი. გადაწყვეტილად მინდა გითხრათ, რომ მერობის კანდიდატი ნამდვილად არ ვიქნები. რაღაც გუნდთან ერთად, მივიღებთ არჩევნებში მონაწილეობას. არასაპარლამენტო პარტიებთან გვაქვს კონსულტაციები.

– ესე იგი, არასაპარლამენტო პარტიები არჩევნებში ერთ ბლოკად გახვალთ?

– დიახ, უახლოეს დღეებში, ამის შესახებ განვაცხადებთ.

რატომ გაუძვირდათ თბილისელებს გაზის გადასახადი

მაია მიშელაძე
593-51-90-12

1 ივნისიდან, დედაქალაქში ბუნებრივი აირის ტარიფი გაძვირდა. ეს გადაწყვეტილება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ – სემეკი 27 მაისს გამართულ საჯარო სხდომაზე მიიღო. უწყებამ შპს „თბილისი ენერჯისთვის“ დადგენილი სამომხმარებლო ტარიფის კორექტირებაზე იმსჯელა და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო. კერძოდ, 1 ივნისიდან, თბილისის მოსახლეობა გაზის ტარიფში 7.8 თეთრით მეტს გადაიხდის.

რას ითხოვს „თბილისი ენერჯი“ სემეკისა და ეკონომიკის სამინისტროსგან და დაასუბსიდირებს თუ არა მთავრობა ტარიფის 8-თეთრიან სხვაობას

სემეკის ინფორმაციით, შპს „თბილისი ენერჯის“ კორექტირებულმა სამომხმარებლო ტარიფმა 53.972 თეთრი შეადგინა 1 კუბურ მეტრზე, დღგ-ს ჩათვლით. ახალი ტარიფი 2021 წლის 1 ივნისიდან ამოქმედდა. უწყებაში აცხადებენ, რომ გაზის ტარიფის კორექტირება თბილისის უსაფრთხო და საიმედო გაზმომარაგების უზრუნველყოფამ განაპირობა.

„შპს „თბილისი ენერჯისთვის“ სამომხმარებლო ტარიფების დადგენის მიზნით, კომისიაში საჯარო ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარე წლის 18 თებერვალს დაიწყო. ტარიფის ცვლილების საფუძველს წარმოადგენს ბუნებრივი გაზის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, კომისიაში შესული შპს „თბილისი ენერჯის“ მოთხოვნა, რაც ტარიფების კორექტირებას უკავშირდება“, – აცხადებენ სემეკში.

შპს „თბილისი ენერჯისთვის“ 2021 წლის 1 ივნისამდე მოქმედი ტარიფი 46.138 თეთრი იყო 1 კუბურ მეტზე, დღგ-ს ჩათვლით. „ვერსიას“ სემეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუმარტეს, რომ გაზის ტარიფის კორექტირების მთავარი მიზეზი საქართველოს ეროვნული ვალუტის – ლარის კურსის ცვლილებაა აშშ დოლართან მიმართებაში. უფრო ზუსტად, 2019 წელს, ბუნებრივი აირის ტარიფი დადგენილი იყო 2.97 ლარის კურსზე – 1 აშშ დოლართან მიმართებაში. 2019 წლის შემდეგ, ლარის კურსი მკვეთრად გაუარესდა. საქართველოს ეროვნული ბანკის 27 მაისის მონაცემებით, 1 აშშ დოლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი ლართან მიმართებაში, 3.26 ლარი გახლდათ.

შპს „თბილისი ენერჯის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში, „ვერსიას“ აუხსნეს, რომ კომპანია გაზს 34 თეთრად ყიდულობს, თუმცა სემეკის 2019 წლის დადგენილებით, 26 თეთრად ჰყიდის.

„ამ მიზეზით, ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში, „თბილისი ენერჯიმ“ 25 მილიონი ლარი იზარალა, რის გამოც საფრთხის ქვეშ დადგა თბილისის გაზის ქსელის უსაფრთხოებაზე ზრუნვა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ გაზის გატარება/მომსახურების ტარიფი არ იცვლება და ისევ 10 თეთრია. ამ ტარიფში კომპანიის ყველა ხარჯია გათვალისწინებული და ის 2023 წლამდე მოქმედებს. ბოლო რამდენიმე თვეა, „თბილისი ენერჯი“ ითხოვდა და ახლაც ითხოვს მოსახლეობისთვის გაზის შესაძენი ფასის ეროვნულ ვალუტაში დაფიქსირებას, რაც ლარის კურსის ცვლილების შემთხვევაში, მომავალში, ტარიფის ცვლილებისგან დაიცავს, როგორც მოსახლეობას, ისე კომპანიას და საფრთხის ქვეშ არ დააყენებს დედაქალაქის უსაფრთხო გაზმომარაგებას“, – აცხადებენ „თბილისი ენერჯიში“.

* * *

დეტალების დაზუსტების მიზნით, „ვერსია“ „თბილისი ენერჯის“ კომერციული და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის დირექტორს, ედიშერ ხორავას დაუკავშირდა:

– ბატონო ედიშერ, როდის მიმართეთ სემეკს ტარიფის კორექტირების მოთხოვნით?

– გასული წლის დეკემბრიდან, სემეკს რამდენჯერმე მივმართეთ. მიზეზი ისაა, რომ 1 ივნისამდე მოქმედი ტარიფში, 1 აშშ დოლარის კურსი აღებული იყო 2.97 ლარის ოდენობით. შესაბამისად, მიწოდების ნაწილში ანუ შესასყიდი ბუნებრივი გაზის ფასი ტარიფში ჩადებული იყო 1 კუბურ მეტრზე – 26 თეთრი. ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო, რეალურად, 26 თეთრის ნაცვლად, კომპანიას გაზის შესყიდვა, დაახლოებით, 34 თეთრად უწევდა. სხვაობა, დაახლოებით, 8 თეთრია და ესაა ობიექტური მიზეზი, რაც ტარიფში აისახა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ გაზის ტარიფში რამდენიმე კომპონენტი შედის, მათ შორის, განაწილების ტარიფი, ტრანსპორტირება, გატარება, ქსელის მომსახურება, ასევე, გაზის ტრანსპორტირების კომპანიისთვის, დამატებითი კომპონენტია ტრანსპორტირების ხარჯი ანუ ბუნებრივი აირის საქართველოს საზღვრიდან თბილისამდე მოტანა, თუმცა ყველა ეს კომპონენტი უცვლელია! ერთადერთი, რასაც კორექტირება შეეხო, ესაა ბუნებრივი აირის შესაძენი ფასი, რაც ტარიფში სულ სხვა კურსით იყო ჩადებული.

კიდევ ერთი გარემოება ის გახლავთ, რომ გაზის ტარიფის კორექტირების ნაწილში, კომპანიას არავითარი რენტაბელობა არ აქვს. ეს ნიშნავს, რომ ტარიფის ზრდის მიუხედავად, არავითარ მოგებაზე საუბარი არ არის, რადგან რა ფასშიც ვყიდულობთ გაზს, 1 ივნისიდან, სწორედ იმ ფასში გავყიდით! გიმეორებთ, სხვა გზა ნამდვილად არ გვქონდა იმის გარდა, რომ სემეკისთვის ტარიფის კორექტირების მიზნით მიგვემართა, რადგან შესაძლოა, კომპანიას ბუნებრივი გაზი ვეღარც კი შეეძინა.

– მოსახლეობისთვის გაზის შესაძენი ფასის ეროვნულ ვალუტაში დაფიქსირებას რატომ ითხოვთ?

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან რაზეც აქამდე ვისაუბრეთ, ჩვენი ეს ინიციატივა, სწორედ ამ პრობლემის გადაჭრას ემსახურება. კერძოდ, მუდმივად რომ არ მივმართოთ მარეგულირებელ კომისიას ტარიფის კორექტირების მოთხოვნით და კომპანიაც ყოველთვის არ განიცდიდეს ზარალს, ვფიქრობთ, გამოსავალი ისაა, რომ ბუნებრივი აირის შესასყიდი ფასი ეროვნულ ვალუტაში – ლარში იყოს ფიქსირებული. ცხადია, ამით მოიხსნება ვალუტის კურსის ცვლილებაზე დამოკიდებულება, მაგრამ რაც მთავარია, კურსის ცვლილება გაზის ტარიფზე გავლენას აღარ იქონიებს და ჩვენც აღარ დავზარალდებით. ამ თხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, „თბილისი ენერჯიშიც“ გაჩნდება სტაბილურობა და ჩვენს მომხმარებლებშიც.

ჩვენს ამ ინიციატივასთან დაკავშირებით ინფორმირებულნი არიან, როგორც სემეკში, ასევე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში. ვფიქრობთ, ნამდვილად არის რესურსი, რომ ეს საკითხი დარეგულირდეს და იმედი გვაქვს, უახლოეს პერიოდში დადებითაც გადაწყდება კიდეც.

* * *

სხვათა შორის, როდესაც ელექტროენერგიისა და წყლის ტარიფიც ზუსტად ეროვნული ვალუტის გაუფასურების მიზეზით გაძვირდა, საქართველოს ექსპრემიერის, გიორგი გახარიას გადაწყვეტილებით, 2022 წლამდე, ტარიფის სხვაობა კომპანიებს მთავრობამ დაუსუბსიდირა. ეს იმიტომ, რომ კორონავირუსის გამო, ქვეყანაში პანდემიაა და ისედაც შეჭირვებულ მოსახლეობას ტარიფის გაძვირების ტვირთი აღარ აჰკიდა. 2021 წლის 1 ივნისიდან, გაზის ტარიფიც გაძვირდა და ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი – პანდემიის გათვალისწინებით, თითქმის 8-თეთრიან სხვაობას დაასუბსიდირებს თუ არა.

ვიდრე მთავრობა ამ საკითხზე იმსჯელებს, ბუნებრივი აირის ტარიფის გაძვირების მიზეზს ეკონომისტი ოთარ ანგურიძე ასე ხსნის:

„თბილისში გაზის ტარიფი 2017 წლიდან არ შეცვლილა, თუმცა ამ პერიოდის განმავლობაში, გაიზარდა აბონენტების რაოდენობა და გაზის მოხმარება. მაგალითად, თუნდაც 2020 წელს, უფრო მეტი გაზი სჭირდებოდა თბილისის მოსახლეობას, ვიდრე – 2017 წელს. ყველაფერ ამას ის ახლად წარმოქმნილი რისკებიც დაემატა, რაც პანდემიამ და ლარის გაუფასურებამ განაპირობა.

თუ წლების მიხედვით განვსაზღვრავთ, 18%-იანი ზრდა ფიქსირდება. ტარიფის მატება სასიამოვნო პროცესი არაა, მაგრამ, სამწუხაროდ, როდესაც გაზი იმპორტული პროდუქტია, შეუძლებელია, ტარიფებზე არასაბაზრო წესებით გავლენის მოხდენა. შესაბამისად, ტარიფის ზრდა მოსალოდნელი იყო. ასეთ პირობებში, არჩევანია გასაკეთებელი ტარიფის გონივრულ ზრდასა და მიწოდების რისკებთან დაკავშირებით“.

რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა ექსპრემიერის პანდემიურ ბიუჯეტში

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობის მთავარი წყარო არის საქართველოს მოქალაქე. შესაბამისად, ჩვენი მიზანია, ქვეყანაში ისეთი ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული გარემოს შექმნა, რაც საშუალებას მისცემს თითოეულ მოქალაქეს, ჩაერთოს სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, მოახდინოს საკუთარი პოტენციალის რეალიზაცია მისი და მისი ოჯახის ღირსეული მომავლისთვის... სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, თითოეულ ჩვენგანს ჩვენი როლი და პასუხისმგებლობა გვაქვს და ჩვენს გასაკეთებელს სხვა ვერავინ გააკეთებს. ძლიერი ქართული სახელმწიფო ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებმა უნდა ავაშენოთ! ვერთიანდებით საქართველოსთვის“, – ესაა ამონარიდი ექსპრემიერის, გიორგი გახარიას ახლადშექმნილი პარტია „საქართველოსთვის“ მანიფესტიდან.

იქიდან გამომდინარე, რომ „წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან“, ხოლო პოლიტიკურ წიწილებს – შემოდგომის მიწურულს, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ოქტომბრის ბოლოს, ნოემბერში უნდა გაიმართოს, ორიოდე დღის წინ შექმნილი პარტიის ცხელ-ცხელ მანიფესტს, ცხელ გულზე არ განვიხილავ. აუცილებლად დაველოდები გახარიას ახალი პარტიის პროგრამის პრეზენტაციას, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ასპექტები. წინასწარ ვაღიარებ, რომ ამ პროგრამის ეკონომიკური ნაწილი უფრო მეტად მაინტერესებს, თუმცა მთლიანობაში, ექსპრემიერის პროგრამაც არ იქნება ინტერესმოკლებული. ოღონდ, როგორც გითხარით, ამგვარი განხილვა სამომავლოდ გადავდოთ, ახლა კი იმას გთავაზობთ, რაც თითოეულმა ჩვენგანმა ისედაც კარგად ვიცით – გასული წლის ბიუჯეტის განხილვას. უფრო ზუსტად, ეს არის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიში 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. შეფასებით ნაწილს თავიდან ბოლომდე ვეთანხმები და ვიზიარებ – შენიშვნაც კი არ მაქვს, რადგან შარშანდელი, პანდემიური ბიუჯეტი პროფესიონალმა აუდიტორებმა განიხილეს და გამოგიტყდებით, არც ისე სახარბიელო დასკვნა დადეს. ჰოდა, ვიდრე ახლადგაოპოზიციონერებული ექსპრემიერი სატელევიზიო თოქ-შუების წამყვანებთან „კეკლუცობს“ და თვალს მხოლოდ ტელე-ჟურნალისტებს უკრავს, ვურჩევ, შიგა და შიგ, გაზეთებიც გადაიკითხოს და თვალი პრესის, იგივე, ბეჭდური მედიის წარმომადგენლებსაც გაგვისწოროს ხოლმე, ხანდახან! და კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც ყოფილ პრემიერს უნდა შევახსენო: ბატონო გიორგი, იცით, რა საერთო აქვთ, ბუზსა და პოლიტიკოსს? – ორივეს გაზეთი კლავს!

ახლა კი დაპირებული ანგარიში, რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, 2020 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ წარადგინა. ანგარიშის მიხედვით, 2020 წელს, ეკონომიკურმა კლებამ -6.2% შეადგინა, რაც 2.2 პროცენტული პუნქტით ნაკლებია სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ საპროგნოზო მაჩვენებელზე (-4.0%). ნომინალური მშპ-ს მოცულობა 49.4 მილიარდ ლარს გაუტოლდა და 0.3 პროცენტული პუნქტით ჩამორჩა პროგნოზს; საშუალო წლიურმა ინფლაციამ 5.2% შეადგინა; მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 12.3% შეადგინა (-1.9 მილიარდი აშშ დოლარი), რაც 3.5 პროცენტული პუნქტით აღემატება საპროგნოზო მაჩვენებელს (8.8%).

„მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ზრდა, ძირითადად, პანდემიის პირობებში, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვანმა შემცირებამ გამოიწვია – 83.4%-ით. 2020 წელს, სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული შემოსულობების მოცულობამ 18 მილიარდი ლარი ანუ გეგმის 97.9% შეადგინა და 2.1%-ით ჩამორჩა გეგმურ მაჩვენებელს. ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელები 16.2 მილიარდ ლარს გაუტოლდა – გეგმის 101.6% და 1.6%-ით გადააჭარბა გეგმას. ბიუჯეტის კანონში, სხვადასხვა დაშვებების საფუძველზე შემუშავებულ საბაზო, ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებში მოცემული მაკროეკონომიკური აგრეგატების ფაქტობრივ მაჩვენებლებთან შესაბამისობის ანალიზი მიუთითებს, რომ 2020 წელს, ეკონომიკური მოვლენები, ძირითადად, პესიმისტური სცენარის მიმართულებით განვითარდა“, – ვკითხულობთ აუდიტის ანგარიშში.

2020 წელს მიღწეული შედეგების 23%-ში სისტემური ხასიათის ხარვეზებია!

ამის შემდეგ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში ის სისტემური ხასიათის საკითხებია განხილული, რომელთა გათვალისწინება მიზანშეწონილია სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვა/შესრულების პროცესში. ვნახოთ, რა სისტემური ხასიათის საკითხები, უფრო ზუსტად, რა ხარვეზები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა.

პანდემიით გამოწვეული ნეგატიური შოკიდან გამომდინარე, ახალი ეკონომიკური რეალობა შეიქმნა, მაგრამ ამის მიუხედავად, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებისას, „ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი“ არ განახლებულა. ამასთან, ბიუჯეტის შესრულების ანგარიში არ შეიცავს ინფორმაციას ფისკალური რისკების მატერიალიზაციისა და მათ საპასუხოდ განხორციელებული პოლიტიკის პასუხების შესახებ! ვფიქრობ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მაშინდელ პრემიერთან ერთად, ამ ხარვეზზე პასუხისმგებლობა ფინანსთა ექსმინისტრსაც ეკისრება.

„2020 წელს, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და რეცესიის ფონზე, ამოქმედდა „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევა, რის გამოც ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი დადგენილი ზღვრის ანუ 3%-ის მიღმა დაიგეგმა. საყურადღებოა, რომ წლის ბოლოს, კანონმდებლობით დაწესებულ ლიმიტს გადააჭარბა, როგორც ბიუჯეტის დეფიციტის, ასევე, ვალის წესის მაჩვენებელმა. კერძოდ, ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტმა 9% – 4.5 მილიარდი ლარი შეადგინა და პროგნოზირებულ მაჩვენებელს 0.7 პროცენტული პუნქტით, ხოლო ორგანული კანონით დადგენილ ლიმიტს 6.0 პროცენტული პუნქტით გადააჭარბა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში პირველად, სწორედ 2020 წელს დაფიქსირდა უარყოფითი საოპერაციო სალდო, -328 მილიონი ლარის ოდენობით; ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციით, ვალის წესის მაჩვენებელმა 60.8% – 30 მილიარდი ლარი შეადგინა და 0.8 პროცენტული პუნქტით გადააჭარბა ორგანული კანონით დადგენილ 60%-იან ნიშნულს! საყურადღებოა, რომ აღნიშნული მაჩვენებელი არ მოიცავს ყველა PPP პროექტიდან მომდინარე და სამთავრობო სექტორად დაკლასიფიცირებული საწარმოების ვალდებულებებს. ამ კომპონენტების გათვალისწინებით, ვალის წესის მაჩვენებელი 62%-მდე იზრდება“.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ვალის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის წარდგენა მნიშვნელოვანია მისი მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ 2020 წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით, მთავრობის ვალის ნაშთის 79.1% საგარეო ვალი იყო. პანდემიისა და არსებული გეოპოლიტიკური გამოწვევების ფონზე, ვალის მოცულობა განსაკუთრებით მოწყვლადია ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ. საყურადღებოა ისიც, რომ მთავრობის ვალის მოცულობა 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, 48.9%-ით ანუ 9.7 მილიარდი ლარით გაიზარდა. ვალის ზრდის დინამიკა გამოწვეულია, როგორც დამატებითი სესხების აღებით, ასევე, ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებით. კერძოდ, ვალის ზრდაში ეროვნული ვალუტის გაუფასურების ეფექტი 41% – 4 მილიარდი ლარი, ახალი სესხების აღების ეფექტი კი – 59% – 5.7 მილიარდი ლარია.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, არსებული ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს თან ახლდეს დეტალური ანალიზი და ხედვა, თუ რა ღონისძიებების/მიდგომების საშუალებით მოხდება საშუალოვადიან პერიოდში ბიუჯეტის დეფიციტისა და ვალის წესის მაჩვენებლების ორგანული კანონით განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში დაბრუნება, სხვადასხვა სცენარის განვითარების შემთხვევაში.

ახლა ვნახოთ, რა ხარვეზები გამოკვეთეს აუდიტორებმა ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილში. ანგარიშის მიხედვით, გასული წლების მსგავსად, 2020 წლის ბოლოს, ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. კერძოდ, მხოლოდ დეკემბერში დახარჯული თანხის ოდენობამ 2.3 მილიარდი ლარი და მთლიანი გადასახდელების 13.9% შეადგინა. შედეგად, დეკემბერში ათვისებულმა ასიგნებებმა, 11 თვის გადასახდელების საშუალოთვიურ მაჩვენებელს 78.2%-ით გადააჭარბა.

რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, ესაა განმახორციელებელი უწყებების მიერ, საინვესტიციო პროექტების დაგეგმვის პროცესში არსებული ნაკლოვანებები. სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ასეთი ხარვეზები იწვევენ პროექტის გეგმების არსებით ცვლილებებსაც. დაგეგმვის ეტაპზე არსებული ნაკლოვანებები კი, თავის მხრივ, პროექტების განხორციელების პროცესზე ახდენს გავლენას, რაც პროექტების ფარგლებში, აუთვისებელი რესურსის ან ფაქტობრივი ხარჯის გეგმაზე მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გამოიხატება!

„აუთვისებელი თანხები განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი საინვესტიციო პროექტებისთვის, რომლებიც ფინანსდება საგარეო საკრედიტო რესურსით და ითვალისწინებს ვალდებულების გადასახადის გადახდას სესხის აუთვისებელ ნაწილზე. 2020 წელს, საგარეო წყაროებიდან მოზიდული საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში, ჯამურად გადახდილმა ვალდებულების გადასახადმა 9.6 მილიონი ლარი შეადგინა. აქედან, 70%-ზე დაბალი ათვისების 9 საინვესტიციო პროექტის შემთხვევაში, გადახდილია 3.3 მილიონი ლარი. 2020 წელს, პანდემიის პრევენციისა და მისი შედეგების სალიკვიდაციოდ, ბიუჯეტის კანონში შესული ცვლილებით, დამატებით 5.6 მილიარდი ლარის მობილიზება დაიგეგმა. ფაქტობრივად მიღებულმა თანხამ 5.1 მილიარდი ლარი შეადგინა (ჩამორჩენა გამოწვეულია საგარეო კრედიტების გეგმურზე ნაკლები მობილიზებით). პანდემიის საპასუხოდ გასატარებელი კონკრეტული ღონისძიებების პაკეტის მოცულობა 3.5 მილიარდი ლარით განისაზღვრა, ფაქტობრივად დახარჯულმა თანხამ კი 3.2 მილიარდი ლარი შეადგინა“.

სამართალი

№18 2 ივნისი 2021 წ

ქართველმა „კანონიერმა ქურდმა“ პირი ამოიკერა

ბათო ჯაფარიძე

პროცენტულად, ქართველი „კანონიერი ქურდები“ ახლაც ჭარბობენ, რეალურად, მათ კონკურენციას ვერასდროს, ვერავინ უწევდა და უწევს. ადრე სპეციალური გადაცემაც კი გაკეთდა, სადაც ქართული და იტალიური ფენომენი შეადარეს ერთმანეთს. მართალია, იმ გადაცემაში „კანონიერ ქურდებს“ მაფიოზებად მოიხსენებდნენ, მაგრამ ამტკიცებდნენ, რომ რაოდენობრივად, მსოფლიოში, ყველაზე მეტი მაფიოზი, სწორედ იტალიასა და საქართველოში იყვნენ. შესაბამისად, არცთუ იშვიათად, საბჭოთა კავშირის დროს, სხვადასხვა რესპუბლიკის სამართალდამცავები, ხშირად სთხოვდნენ ქართველ კოლეგებს დახმარებას. პრინციპით – „მუნჯის ენა დედამ იცის“ – ქართულ მილიციას თანამემამულეთა დევნა უფრო უადვილდებოდა.

ორი კრიმინალის დაუჯერებელი ისტორია

„1988 წელს, სარატოვში რამდენიმე თავდასხმა მოხდა. საინტერესო, უშუალოდ დანაშაულის ჩადენის მეთოდი იყო: ორი პიროვნება კარზე აკაკუნებდა, შემდეგ კი სახლის პატრონს ხელყუმბარას ანახებდა და ეუბნებოდა, თუ მეორე დღეს, დათქმულ ადგილზე, 10 ათას მანეთს არ მოიტანთ, ამ ხელყუმბარას ფანჯრიდან შემოგიგდებო. საინტერესო იყო ისიც, რომ დამნაშავეები მდიდარ ოჯახებს არ არჩევდნენ, მათთვის სულ ერთი იყო, ვინ იყო მსხვერპლი. შეშინებული ადამიანების ნაწილმა ფული ისესხა, ნაწილი კი მილიციაში მივიდა. მათი მონათხრობიდან ფოტო-რობოტი შეადგინეს და აღმოაჩინეს, რომ თავდამსხმელები მათთვის კარგად ნაცნობი „კანონიერი ქურდი“ მამია მანჯავიძე (მამუკა „ქუთაისკი“) და ცნობილი კრიმინალი, თემურ რუხაძე იყვნენ. დახმარება ქართველ სამართალდამცავებს გვთხოვეს და მივლინებაში მე წავედი“, – იხსენებს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ადგილზე ჩასულ ქართველ გამომძიებელს რუსი კოლეგები დიდი ინტერესით დახვდნენ. მათი ინფორმაციით, დამნაშავეები სარატოვში ატერორებდნენ ხალხს, მაგრამ სავარაუდოდ , სხვაგან ცხოვრობდნენ, რადგან მთელი ქალაქი ფეხზე დააყენეს და კრიმინალების ადგილსამყოფელს ვერსად მიაგნეს. ამიტომ, ახლომდებარე ქალაქების შესწავლა დაიწყეს, თუმცა ქართველმა გამომძიებელმა თქვა, ჩვენებურებს დიდ ქალაქებში უყვართ ცხოვრება და დროსტარება, რადგან პატარა დასახლებები მათ ამბიციებს ვერ აკმაყოფილებსო.

მილიცია მორიგ დანაშაულს ელოდა, სწორედ ამ დროს, განყოფილებაში ადგილობრივი ქარხნის მუშა მივიდა და განაცხადა, გუშინ, სახლში, ვიღაც ორი კაცი მოვიდა, ხელყუმბარა გახსნა და ცოლ-შვილის დახოცვით დამემუქრა, თუ დღის პირველ საათზე, ათი ათას მანეთს სკვერში არ მივუტანო. საათის ისრები 12-ს აჩვენებდა და სამართალდამცავებმა სასწრაფოდ სპეცოპერაცია დაგეგმეს. იმის გამო, რომ სამოქალაქო ტანსაცმლით მაშინ თითქმის არავინ დადიოდა და ყველას მილიციის ფორმა ეცვა, მხოლოდ 11 ოპერატიული მუშაკის მობილიზება მოხერხდა. დაზარალებულს აუხსნეს, რომ კრიმინალების დანახვისას, ქუდი უნდა მოეხადა და თავზე ხელი გადაესვა.

„11 ოპერმუშაკი სკვერში ისე განვლაგდით, რომ იქიდან გაქცევა შეუძლებელი იყო. დაზარალებული წინ და უკან დადიოდა, მაგრამ გამომძალველები არ ჩანდნენ. მოულოდნელად, მან ქუდი მოიხადა და თავზე ხელი გადაისვა. 11-ვე ოპერმუშაკმა წრე შევკარით და მისკენ დავიძარით. იქვე, სკამზე, ახალგაზრდა კაცი იჯდა და ხატავდა. ჩვენს დანახვაზე, ფეხზე წამოხტა, იარაღი ამოიღო და სროლა დაიწყო. ამ დროს, ბუჩქებიდან მეორე კაცი გამოჩნდა, ხელყუმბარას რგოლი შეხსნა და დაგვემუქრა, ავაფეთქებო. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ყველა დავიბენით, თუმცა იმან, რაც შემდეგ მოხდა, ყველაზე მეტად გამაოცა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ამის შემდეგ ყველაფერი, მართლაც, უცნაურად განვითარდა. ხელყუმბარის დანახვისთანავე, 11-დან 8 თანამშრომელმა მოკურცხლა და ადგილზე მხოლოდ ქართველი გამომძიებელი, სამძებროს უფროსი და მისი მოადგილე დარჩნენ. კრიმინალები მიხვდნენ, რომ სასწორი უკვე მათ მხარეს გადაიხარა და უმისამართო სროლა დაიწყეს, რასაც ორი ადამიანის დაჭრა მოჰყვა. სამართალდამცავებმა დევნა შეწყვიტეს და მათ წასვლის საშუალება მისცეს. განყოფილებაში დაბრუნების შემდეგ, გაქცეულ თანამშრომლებს უსაყვედურეს, მაგრამ ამას რაღა აზრი ჰქონდა? ცხადი იყო, რომ დამნაშავეები დიდი ხნით დაიმალებოდნენ და ასე თავზე ხელაღებით აღარ იმოქმედებდნენ. სამართალდამცავებმა მთელი აგენტურული ქსელი აამუშავეს და გაარკვიეს, რომ მანჯავიძეს მოსკოვში ოფიციალური ცოლი ჰყავდა, თუმცა საგულდაგულოდ მალავდა. ჯერ ერთი, მას არ სურდა, რომ მილიციას სცოდნოდა, ვინ იყო მისი რჩეული და მეორეც, მაშინ „კანონიერ ქურდებს“ ცოლის მოყვანას დიდად არ უწონებდნენ.

დაიწყეს თვალთვალი, გაარკვიეს, რომ ცოლი რიგითი სკოლის რიგითი მასწავლებელი იყო, არაფრით გამორჩეული, თუმცა გათხოვების შემდეგ, მას ძალიან, ძალიან ბევრი ოქროული გაუჩნდა. სწორედ მაშინ, როცა სამართალდამცავები მოსკოვის ბინას დარაჯობდნენ, ინფორმაცია მოვიდა – მანჯავიძე და რუხაძე კვლავ სარატოვში უნახავთ. მთელი ძალები ისევ იქით გადაისროლეს და გარეუბანში, რკალშიც მოაქციეს. ერთ მხარეს სამართალდამცავთა აურაცხელი რაოდენობა, მეორე მხარეს – გაუვალი ჭაობი, თანაც ადრეული შემოდგომა იდგა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჭაობის გავლა შეუძლებელი იქნებოდა. რკალი შევიწროვდა, დაპატარავდა და...

ეჭვმიტანილები ვერსად ნახეს. ექსპერტები ორი დღის განმავლობაში ამოწმებდნენ ჭაობს და ვერაფერი აღმოაჩინეს. მათ დადასტურებულად თქვეს – ამ ჭაობს ცოცხალი ადამიანი ვერ გაივლიდა და თუ მათ შესვლა გაბედეს, აუცილებლად დაიღუპებოდნენ. იმის გათვალისწინებით, რომ მილიციას ყველაფერი კარგად ჰქონდა გადაკეტილი, ჩათვალეს, ძებნილებმა გასვლა მაინც სცადეს და ჭაობში ჩაიხრჩვნენ.

ორი კვირის შემდეგ, კვლავ აგენტურული ქსელის მეშვეობით გაირკვა, რომ ორივე ძებნილი ცოცხალი და საღ-სალამათი იყო. მხოლოდ მოგვიანებით, მათი დაკავების შემდეგ გაიგეს სამართალდამცავებმა – ორი დღის განმავლობაში, ისინი ჭაობში იმალებოდნენ, ბალახისგან მილი ჰქონდათ გაკეთებული, როცა სამართალდამცავები უახლოვდებოდნენ, ყვინთავდნენ და მილით სუნთქავდნენ. 48 საათიდან, მათ წყალქვეშ, 24 საათზე მეტი გაატარეს, რაც ნამდვილი საოცრება იყო.

მოსკოვის ბინაზე თვალთვალი კვლავ გაგრძელდა. მართალია, მანჯავიძე შინ არ გამოჩენილა, მაგრამ გარეუბანში მისი ცოლი წავიდა და ერთ-ერთ ბინაში შეიმალა. მოგვიანებით, იქიდან რუხაძე გამოვიდა, როგორც ჩანს, წყვილი მარტო დატოვა. სპეცოპერაციის ჩატარება გადაწყდა, მაგრამ ამაოდ – სამართალდამცავებმა მისვლა ვერ მოასწრეს, ძებნილებმა ბინა დატოვეს და... ავტომობილით სამართალდამცავებს დაუსხლტნენ.

„ბედისწერის მჯერა და კიდევ ერთხელ მაშინ ვიწამე, როცა მანჯავიძე, რუხაძე და კიდევ ერთი მათი მეგობარი დაკავებულები მოიყვანეს. სამი ოპერმუშაკი, ღამის მორიგეობის შემდეგ, კორპუსის ეზოში შევიდა, რათა იქვე ნაყიდი ღვეზელი ეჭამათ. ამ დროს ეზოში მანქანა გაჩერდა, იქიდან მანჯავიძე და რუხაძე გადმოვიდნენ, მესამე საჭესთან დარჩა. ოპერმუშაკებს გაოცებისგან ყბა ჩამოუვარდათ, თუმცა რაციები არ ჰქონდათ, მობილური კი მაშინ არ იყო. ისინი დაელოდნენ, როცა ძებნილები სადარბაზოდან გამოვიდნენ, მანქანაში ჩასხდნენ და ავტომობილს მაშინვე გარს შემოერტყნენ. კრიმინალებმა სროლა დაიწყეს, ოპერმუშაკებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს, რუხაძემ ხელყუმბარაც ისროლა, მაგრამ არ აფეთქდა. საბოლოოდ, ორმხრივი სროლის შედეგად, მანჯავიძე დაიჭრა, დანარჩენებს ტყვიები დაუმთავრდათ და ასე, სამმა კაცმა, მოულოდნელობის ეფექტის გათვალისწინებით, სამი ძალიან საშიში დამნაშავე დააკავა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

მერე გაირკვა, რომ მამია მანჯავიძეს ტუბერკულოზის ბოლო სტადია ჰქონდა და ისედაც ცოტა ხანს იცოცხლებდა. ამის მიუხედავად, სასამართლომ მას სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა მიუსაჯა, თუმცა მანჯავიძე ვერ დახვრიტეს – განაჩენის მოსმენის შემდეგ, პირი ამოიკერა და შიმშილით გარდაიცვალა. როგორც ვარაუდობენ, ასე შეგნებულად მოიქცა, რადგან დახვრეტილი ადამიანების სხეულებს ოჯახს არ აძლევდნენ, ასე გარდაცვლილი კი ოჯახს მისცეს და მანჯავიძე მშობლიური ბაღდათის მიწას მიაბარეს.

როგორც სამართალდამცავები ამბობენ, მამია მანჯავიძისდარი ჭკვიანი, ე.წ. კანონიერი ქურდი, ძალიან იშვიათია და რომ არა შემთხვევა, მას მილიცია კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ვერ დაიჭერდა.

თაღლითობა „კა-გე-ბე“-ს სახელით

ვინ იყო სამი ადამიანი, რომლებმაც საბჭოთა უშიშროება მასხრად აიგდეს

ბათო ჯაფარიძე

საბჭოთა უშიშროება არცთუ უსაფუძვლოდ ითვლებოდა მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს ძალოვან სტრუქტურად. „კა-გე-ბე“-ს საცეცები ჰქონდა ყველგან, ხელი მიუწვდებოდა, პრაქტიკულად, ყველაფერზე და უშიშროების შეფი ემორჩილებოდა მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს. შემთხვევითი არც ის იყო, რომ ლეონიდ ბრეჟნევის სიკვდილის შემდეგ, „გენსეკი“, სწორედ უშიშროების შეფი, იური ანდროპოვი გახდა. რუსეთის დღევანდელი პრეზიდენტი, ვლადიმირ პუტინიც უშიშროებიდან მოდის და რაც უნდა დაემართოს რუსეთს, მაქსიმალურად ცდილობენ, რომ „კა-გე-ბე“ ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგეს.

„ადრეც გითხარით, ცოტა ხანს უშიშროებაში ვიმუშავე-მეთქი, შემდეგ ვერ გავუძელი ვერც რეჟიმს, ვერც – მეთოდებს, რომლითაც ისინი მუშაობდნენ და წამოვედი, თუმცა ორი მივლინება მოვასწარი: ერთი – პრაქტიკის ასამაღლებელი, მეორე – საქმიანი. სწორედ პრაქტიკის ასამაღლებელ მივლინებაზე მინდა გიამბოთ, რადგან ერთ-ერთი ყველაზე არაორდინალური ისტორიაა, რომელიც მაშინ ანდროპოვმა საგულდაგულოდ მიჩქმალა და შეეცადა, ბრეჟნევამდე არ მისულიყო, თუმცა ანდროპოვის მოსისხლე მტერმა, შს მინისტრმა, შჩოლოკოვმა ყველაფერი იღონა, რომ ეს ისტორია დეტალებში სცოდნოდა „გენსეკს“. როგორც ამბობენ, ლეონიდ ილიჩი, გაბრაზების ნაცვლად, გულისწასვლამდე იცინოდა“, – გვიყვება საინტერესო ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

რუსეთში, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან ჩასულ ახალგაზრდა პრაქტიკანტებს მთავარ საქმეს აჩვევდნენ – როგორ უნდა მოეხდინათ ზეგავლენა მაღალჩინოსნებზე, ამიტომ არც ახალგაზრდა ქართველ პრაქტიკანტს გაჰკვირვებია, როცა მოსკოვის ერთ-ერთი დიდი საწარმოს დირექტორის სანახავად წაიყვანეს. უშიშროება მას დიდი ხნის განმავლობაში „ამუშავებდა“ და ისიც იცოდა, რომ მინიმუმ მილიონი მანეთი არათუ მოპარული, აგარაკზე, მიწაშიც კი ჰქონდა დამარხული. კომედიაც აქ დაიწყო.

„დირექტორმა ძალიან მშვიდად მიგვიღო, შემდეგ კი, როცა აუწყეს, რომ დაკავებული გახლდათ, გაიღიმა და ხელი აიქნია, თქვენს უფროსობას დაელაპარაკეთ, უკვე გადახდილი მაქვს, აქედან მომწყდითო. ეს ჩვენთვის ნამდვილი შოკი იყო, რადგან მაშინ ქრთამზე ასე ხმამაღლა და აგდებით არავინ საუბრობდა. მე ახალბედა ვიყავი, მაგრამ გამოცდილი ოპერმუშაკებიც დაიბნენ. დირექტორმა კი დაბეჯითებით გაიმეორა, თქვენებს 50 ათასი მანეთი მივეცი, სწორედ მათ მითხრეს, თუ ვინმე მოვა, ჩვენთან გადმოამისამართეო და მოსკოვის უშიშროების კომიტეტის შეფის მოადგილის გვარ-სახელი თქვა. იქიდან კი არ წამოვედით, გამოვიძურწეთ“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ყველაფერი ჯერ არაფორმალურად მოახსენეს საბჭოთა კავშირის დედაქალაქის უშიშროების უფროსს, თუმცა მან პატაკი მოითხოვა და ყველაფერი ფურცელზე გადაიტანეს. მისი მოადგილე გაოცებისგან ლამის შოკში ჩავარდა, ასეთი რამ არ ყოფილაო და მოითხოვა, ამოცნობა ჩაეტარებინათ. მოიყვანეს დირექტორი, დაეყენეს ხუთი კაცი, მათ შორის, მოადგილეც და დასვეს ერთადერთი კითხვა – ვის მიეცი ფული? დირექტორმა ისევ აგდებით თქვა, მე მოსკოვის უშიშროების უფროსის მოადგილეს ვესაუბრე, აქ კი ვიღაც ლოთები გყავთ დაყენებულიო. ამის შემდეგ, მას უშიშროების ოფიციალური თანამშრომლების სურათები აჩვენეს, თუმცა დირექტორმა ვერავინ ამოიცნო. ამხელა პროცედურები კი იმისთვის გახდა საჭირო, რომ დირექტორი ამტკიცებდა, უშიშროების საბუთი მაჩვენესო. უკეთესად რომ განვმარტოთ, უშიშროებას სპეციფიკური, მუქი წითელი საბუთი ჰქონდა, მას არასდროს შლიდნენ, საკმარისი იყო ჩვენება და ორგანოს დასახელება, კითხვა არავის ეებადებოდა. რაც მთავარია, ასეთი საბუთი არცერთ სხვა უწყებას არ ჰქონდა და მისი გარჩევა მარტივი იყო. ის, რომ ვიღაცა უშიშროების საბუთს იყენებდა, მალე დამტკიცდა. „კა-გე-ბე“-მ გაქექა და აღმოაჩინა, რომ კიდევ სამი საწარმოს ხელმძღვანელს შეაწერეს დიდი ფული. ყველგან ერთი და იგივე სქემა იყო – მიდიოდა ორი კაცი, აფრიალებდა უშიშროების საბუთს და ითხოვდა ფულს. თუ პირველ შემთხვევაში, თავი მოსკოვის უშიშროების შეფის მოადგილედ გაასაღეს, დანარჩენ შემთხვევაში, პირდაპირ შეფის სახელით წარსდგნენ. შეადგინეს ფოტო-რობოტები, რომლებიც, რაღა თქმა უნდა, არც უფროსს და არც მოადგილეს არ ჰგავდა.

საქმემ იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ იური ანდროპოვს უპატაკეს. მან ბრძანება გასცა, რადაც უნდა დაჯდომოდათ, მაქსიმუმ, ერთ კვირაში, უშიშროების ის თანამშრომლები უნდა ეპოვათ, რომლებიც სამსახურეობრივ საბუთს არასწორი მიმართულებით იყენებდნენ. ოფლი ასხამდა ყველას, რადგან უშიშროებაში მუშაობის დასაწყებად რეკომენდატორი გჭირდებოდა და ეს რეკომენდატორი, ძირითადად, ადგილობრივი მაღალჩინოსანი იყო. შესაბამისად, დამნაშავის გარდა, პოლიტიკურ თუ სამსახურეობრივ კარიერას, ავტომატურად, რეკომენდატორიც ასრულებდა.

კიდევ ერთი კვირა გავიდა და უშიშროება მთლად გადაირია. ამჯერად, ორის ნაცვლად, სამი თანამშრომელი დადიოდა. რაც მთავარია, დაზარალებულების აღწერილობით, მათ ზუსტად ისეთი მოწმობა ჰქონდათ, როგორიც უშიშროებას და ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ფოტო-რობოტი არ ემთხვეოდა არათუ უშიშროების არცერთ თანამშრომელს, არამედ, არცერთ კრიმინალს, რომელიც საბჭოთა კავშირის კარტოთეკაში ირიცხებოდა.

„კა-გე-ბე“ მუშაობის 24-საათიან რეჟიმზე გადავიდა. გამოითქვა ვერსია, რომ საწარმოების ხელმძღვანელები გაეფრთხილებინათ, მაგრამ ამის ნება ანდროპოვმა არ დართო.

ლუბლიანკაზე, უშიშროების ცენტრალური უწყება „კრაზანების ბუდეს“ ჰგავდა. რიგითი თანამშრომლებიც კი გაცოფებულები იყვნენ, აგენტურული ქსელი წინდასავით ამოაბრუნეს, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა. ამ დროს გამოჩნდა ანდროპოვის, როგორც ხელმძღვანელის ნიჭი და უნარი, კრიტიკულ სიტუაციაში მდგომარეობა ემართა. მან საგანგებო თათბირი მოიწვია და პირდაპირ თქვა – დამნაშავეები კრიმინალს არ ეხებიან, ჩვენს ღირსებას თელავენ. არ მჯერა, რომ ჩვენს ორგანოში სამი ისეთი ადამიანი იქნება, რომლებიც ამას იკადრებენ, ამიტომ ჩვენ დამნაშავეები სხვაგან უნდა ვეძებოთ. სად სხვაგან? მოიტანეთ საბჭოთა კავშირის 15 რესპუბლიკაში არსებული მოწმობები, ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც უწყებების თანამშრომლებს აქვთ. თუ მეეზოვეს აქვს მოწმობა, მაგიდაზე მედოს. არ აქვს მნიშვნელობა, ეს მეეზოვე ბელორუსია, უკრაინელი, რუსი თუ ტაჯიკი. ყველა მოწმობა, მაქსიმუმ, ორ დღეში, მაგიდაზე მქონდეს! დარწმუნებული ვარ, რომ ვიღაცას თავში აზრად მოუვიდა და ზუსტად ისეთი მოწმობები დაამზადა, როგორებიც ჩვენ გვაქვს.

ორ დღეში ვერა, მაგრამ ხუთ დღეში, რამდენიმე ათასი მოწმობა, მართლაც, შეგროვდა. მათი დათვალიერება არც დაუწყიათ, რადგან ერთ-ერთი მათგანი გარედან ისე ჰგავდა უშიშროების თანამშრომლის „ქსივას“, რომ ყველა მას უყურებდა. რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, აღნიშნული მოწმობები... მოსკოვის კორპუსების ლიფტის მუშაკებს ეკუთვნოდათ ანუ „ლიფტიორები“ და „კა-გე-ბე“-ს თანამშრომლები ერთი და იგივე მოწმობებით გადაადგილდებოდნენ. ყდა ასი პროცენტით ემთხვეოდა ერთმანეთს. როგორც გაირკვა, ვიღაცას თავში აზრად მოუვიდა, რომ მოწმობა ლიფტიორსაც უნდა ჰქონოდა, რადგან ბინის ქურდები სადარბაზოებში ხშირად ამბობდნენ, ლიფტიორები ვართო და მოწმობა არ არსებობდა. რაც შეეხება დიზაინს...

„ერთ-ერთი ადამიანი, ვისაც დიზაინის შექმნა ევალებოდა, უშიშროების თანამშრომლის მეზობელი იყო. მასთან ერთად, ხშირად, სათევზაოდ დადიოდა, ქეიფობდა და, რაღა თქმა უნდა, ინტერესის გულისთვის, მისი „ქსივაც“ ნანახი ჰქონდა. ჰოდა, გადაწყვიტა, არაფერი დაშავდებოდა, თუ ლიფტის შემკეთებლებსაც იგივენაირი „ქსივა“ ექნებოდათ. მერე ყველაფერი მარტივად მოხდა – როგორც გაირკვა, უშიშროების საბუთს მხოლოდ ის არ სცნობდა. ვიღაცამ სქემა მოიფიქრა, ჯერ ერთი თანამშრომელი აიყოლია, მერე – მეორე და საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ სამეულმა, საერთო ჯამში, საწარმოოს დირექტორებს ორასი ათას მანეთზე მეტი წაგლიჯა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ფოტო-რობოტით მათი პოვნა უშიშროებას ნამდვილად არ გასჭირვებია. მათზე თვალთვალი დააწესეს და მაშინ, როცა ერთ-ერთი საწარმოს დირექტორს მიადგნენ, პირდაპირ, კაბინეტში დააკავეს. მაშინ ბევრი ვარაუდობდა, რომ უშიშროების მასხრად აგდებისთვის, დაკავებულებს სოლიდურ სასჯელს მიუსჯიდნენ, მაგრამ საბოლოო ჯამში, 6-6 წელი ჩამოურიგეს. სამი დაკავებულიდან ორს, ვადაზე ადრე გათავისუფლებაც კი შეეხო, მესამე კი ტუბერკულოზით, ციხეში გარდაიცვალა.

„ყველაზე საინტერესო, იცით, რა იყო? ყველა ლიფტიორს მოსთხოვეს საბუთის ჩაბარება. ათეულობით მათგანს დაკარგული ჰქონდა, არ იცოდა, სად ეგდო და როცა საქმეში უშიშროება ჩაერთო, ლამის ყველამ გაიხსენა, სად ჰქონდა შემოდებულ-გადაგდებული. მას შემდეგ, მოსკოვის ლიფტიორებს მოწმობა აღარ ჰქონიათ“, – სიცილით დაასრულა ბატონმა თენგიზმა.

რუსთავში პატარძალმა თავი მოიკლა

ბათო ჯაფარიძე

ქორწილი ყოველთვის ქორწილია. სიძე-პატარძალს ყველა ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიმრავლეს უსურვებს და დარწმუნებულნი არიან, რომ ნეფე-დედოფალი, მსოფლიოში, ყველაზე ბედნიერი წყვილია. ეს ერთი შეხედვით, თორემ... ქართული ზღაპრები ხშირად ასე მთავრდება – „და ცხოვრობდნენ ისინი ტკბილად და ბედნიერად...“ არადა, სწორედ მაშინ უნდა დასრულებულიყო ზღაპარი და დაწყებულიყო რეალური ცხოვრება – რამდენად ტკბილი და ბედნიერი, ეგ იყო საინტერესო.

ვინ მიიყვანა თვითმკვლელობამდე და რატომ ჩამოიხრჩო თავი გოგონას მამინაცვალმა – გრიფით „საიდუმლო“ საქმის დეტალები

1984 წლის ზამთარში, ზედ ახალი წლის წინ, რუსთავის ერთ-ერთი კორპუსის მაცხოვრებლები უცნაური სურათის მოწმენი გახდნენ: იმ დღეს გოგონა თხოვდებოდა, სასიძო მოსული იყო მცირე მაყრიონით, სწორედ ამ დროს, ფანჯარა გაიღო და... საპატარძლო კაბაში გამოწყობილი გოგო, მეექვსე სართულიდან გადახტა. ჰო, გადახტა – ის არავის გადაუგდია, თავისი ნებით ავიდა ფანჯრის რაფაზე და უხმოდ გადახტა. კორპუსთან სასწრაფო დახმარებისა და მილიციის მანქანები ერთდროულად მივიდნენ. ექიმებმა თქვეს, რომ გოგონას ბევრი მოტეხილობა ჰქონდა, მაგრამ ცოცხალი იყო. სამართალდამცავებმა კი სახლში მყოფი პირების დაკითხვა დაიწყეს. ყველა ერთხმად აღიარებდა – პატარძალმა კაბის ჩაცმისა და მაკიაჟის გაკეთების შემდეგ, ოთახში ცოტა ხნით მარტო დარჩენა ითხოვა, შემდეგ რაც მოხდა, ყველასთვის ნამდვილი შოკი იყო.

მთავარი ეჭვმიტანილი სასიძო გახდა, აქაოდა, რამდენიმე წუთით ადრე, საცოლეს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, რაც გოგოს არ მოეწონაო. სასიძო განყოფილებაში წაიყვანეს და... ძვალ-რბილი გაუერთიანეს, მაგრამ ის ჯიუტად იმეორებდა, ყურში მხოლოდ უხამსად გავეხუმრე პირველ ღამესთან დაკავშირებითო. მაშინ ტერმინს – „თვითმკვლელობამდე მიყვანა“, იშვიათად გაიგონებდით, მაგრამ ახლა სწორედ ასეთი შემთხვევა იყო და მილიციას უნდა დაედგინა, ვინ მიიყვანა თვითმკვლელობამდე პატარძალი.

ყოველი შემთხვევისთვის, ბინაში ჩხრეკაც ჩატარდა და გამომძიებლებმა გოგონას დღიურს მიაგნეს.

„ვერ ვიტან მამინაცვალს, ის ნამდვილი ჯალათია, როცა დედა შინ არ არის, სასტიკად მექცევა, მცემს კიდეც. იმ დღეს ისე მომექცა, დაწერაც მერიდება, სხვამ რომ ნახოს, შეიძლება, თავი მოვიკლა“, – ეს არის ამონარიდი პატარძლის დღიურიდან. მთავარი ეჭვმიტანილი უკვე მამინაცვალი გახდა. სამართალდამცავები მაშინვე მის დასაკავებლად წავიდნენ, გზაში ივარაუდეს, რომ მამინაცვალმა გოგონა გააუპატიურა და თვითმკვლელობის მცდელობის მიზეზიც ეს გახდა. გზაზე, მილიციას რაციით შეატყობინეს – პატარძალი გარდაიცვალა.

მამინაცვალი შინ იყო და კონიაკის ბოთლი სანახევროდ ჰქონდა დაცლილი. როცა სამართალდამცავები მივიდნენ და ის გერის გაუპატიურებაში უბოდიშოდ დაადანაშაულეს, გაოცდა, იფიცებოდა, ხელი არ დამიკარებია, მკაცრად კი ვზრდიდი, არ მინდოდა, ასე ადრე გათხოვილიყოო, თუმცა მილიცია შეუვალი იყო – ეჭვმიტანილი განყოფილებაში უნდა წაეყვანათ. კაცმა თავი დაიქნია, ჩავიცვამ და წამოვალო და მეორე ოთახში გავიდა. სამართალდამცავთაგან მას არავინ გაჰყვა, ცოტა ხანში კი რაღაც ხმაური გაიგეს და ოთახში შეცვივდნენ. კაცს მტვერსასრუტის სადენით ჭაღზე მარყუჟი ჰქონდა გაკეთებული და ზედ ეკიდა. გამომძიებლები დაიბნენ და ათიოდე წამს პირდაღებულნი იყურებოდნენ, შემდეგ დანა მოიტანეს და სადენი გადაჭრეს, თუმცა მარყუჟს თავის საქმე გაკეთებული ჰქონდა – საკმაოდ მძიმეწონიანი მამინაცვალი უკვე გარდაცვლილი იყო.

ექსპერტიზა მოგვიანებით იტყვის, რომ ხორხი გატყდა და კაცი მალე გაიგუდა. ახლა მხოლოდ ერთი რამ იყო საჭირო – ექსპერტიზის დასკვნა, რომ გოგონას ინტიმური კავშირი ჰქონდა და საქმეც დაიხურებოდა. ექსპერტიზამ დასკვნა დადო – პატარძალი ქალიშვილია და ურთიერთობა არავისთან ჰქონია. ეს ნამდვილი შოკი იყო – მაშ, რისთვის მოიკლა თავი მამინაცვალმა, თუ უდანაშაულო იყო?

ექსპერტებმა პირველ დასკვნას მეორეც მიაყოლეს – როგორც გარდაცვლილი გოგოს, ისე მამაკაცის სხეულში აღმოჩენილია გაურკვეველი პრეპარატი, რომელიც დიდი დოზით იქნა მიღებული და პრეპარატში შემავალი ელემენტების კვლევას, მინიმუმ, 3-4 დღე დასჭირდება.

ექიმთა ვარაუდი არ გამართლდა. აღმოჩენილი პრეპარატების შემცველობის დადგენას ათი დღე მაინც დასჭირდა. შესაბამისად, გამომძიებლები უქმად რომ არ ყოფილიყვნენ, ქმრისა და შვილის დაკრძალვის შემდეგ, დიასახლისს ეწვივნენ. დარდით მოკლული ქალი მილიციის თანამშრომლებს სამზარეულოში შეუძღვა, ბოდიში მოუხადა, ორი ჭიქა კონიაკი მაქვს დალეული, ნერვიულობით, ლამის გავგიჟდეო. სამზარეულოს მაგიდაზე, მართლაც, კონიაკის გახსნილი ბოთლი და კიტრის მჟავე იდო. მოულოდნელად, ქალი წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, გამოაღო და ფეხი შედგა. რომ არა სამართალდამცავთა სიმარჯვე, რომლებმაც ქალის დაჭერა ბოლო წამს მოახერხეს, ის ფანჯრიდან გადახტებოდა. მილიციამ სასწრაფო გამოიძახა, რადგან აღელვებული ქალი გაუგებარ ფრაზებს ისროდა, დანასაც კი მისწვდა და გამომძიებლებს მოუქნია. ექიმებმა მას დამამშვიდებელი გაუკეთეს და საავადმყოფოში ისე წაიყვანეს, საღამოს კი სამართალდამცავებს დაუდასტურეს – მის სისხლშიც იგივე შემადგენლობის პრეპარატია, რაც ქმარსა და ქალიშვილს აღმოაჩნდათო.

როგორც იქნა, ექიმებმა დაადგინეს, რომ 12 ძლიერმოქმედი საშუალება ერთმანეთში იყო არეული და სპირტიან სასმელთან მიღების შემთხვევაში, ის ადამიანს არა მარტო ლოგიკურად ქმედებისა და აზროვნების უნარს უკარგავდა, არამედ, გარემოს ადეკვატური აღქმის შესაძლებლობასაც უსპობდა. ალკოჰოლის დოზას რაც შეეხება, პრეპარატი იმდენად ძლიერი იყო, რომ სასურველი შედეგის მისაღწევად, ათი გრამი ალკოჰოლიც საკმარისი იქნებოდა. ქორწილის სტუმრების დაკითხვის შემდეგ გაირკვა, რომ პატარძალს არაფერი დაულევია, თუმცა ლიქიორიანი შოკოლადი ჭამა, მანამდე კი დედის მიერ გაკეთებული, დაკონსერვებული აჯაფსანდალი მიირთვა. მერე რა, რომ ქორწილის დღე იყო, თურმე, გოგონა აჯაფსანდალზე გიჟდებოდა.

ოჯახის სარდაფში ორასამდე დაკონსერვებული ქილა ნახეს და ყველა ექსპერტიზაზე წაიღეს. მათგან, დაახლოებით, ორმოც ქილაში, აღნიშნული ჯოჯოხეთური „კოქტეილი“ აღმოჩნდა – ქილების თავები გახსნილი და ხელახლა დახუფული გახლდათ. კითხვა, ვის შეიძლებოდა ჰქონოდა სარდაფის გასაღები, არ დაუსვამთ, რადგან იმდენად მარტივი ბოქლომი ეკიდა კარზე, რომ მას ბავშვიც გააღებდა.

მილიციამ ეჭვი ქალის ყოფილ ქმარზე მიიტანა, მაგრამ მას ალიბი ჰქონდა, ყოფილ ოჯახთან აღარაფერი აკავშირებდა, შვილსაც არ ნახულობდა და დასავლეთ საქართველოში, ახალ ოჯახთან ერთად, ბედნიერად ცხოვრობდა. ამასთან, არც კი იცოდა, რომ შვილი თხოვდებოდა, არც ის იცოდა, რომ დაეღუპა და არც უნერვიულია, როდესაც ეს ამბავი გაიგო. მეტი ეჭვმიტანილი კი, უბრალოდ, არ არსებობდა.

ქალი რუსთავში, ერთ-ერთ საამქროში მუშაობდა ცვლის უფროსად, ქმარიც – იქვე, იმავე საამქროში და როგორც ამბობდნენ, მათ მტრები არ ჰყავდათ, მით უმეტეს, ისეთი, ოჯახი გასაწყვეტად რომ გაემეტებინა. გამომძიებლები უიმედოდ შლიდნენ ხელებს. რეალურად, ის მედიკამენტები აფთიაქში კი იყიდებოდა ანუ ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო, მაგრამ მათი ერთმანეთში არევა და შესაბამისი დოზები ცალკე ცოდნას მოითხოვდა. სამართალდამცავები ამ მიმართულებით წავიდნენ ანუ ქიმიკოსების ძებნა დაიწყეს. რუსთავში ასეთები, წესით, ბევრნი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ კვანძი იქ გაიხსნა, სადაც არავინ ელოდა.

ერთ დღეს, ერთ-ერთი უბნის რწმუნებული სიცილით ყვებოდა, როგორ გადმოხტა ახალგაზრდა ბიჭი პირველი სართულიდან, როგორ იქცეოდა არაადეკვატურად და როგორ წაიყვანეს გამოსაფხიზლებელში. იმის გამო, რომ მას მოწამვლის ნიშნები ეტყობოდა, ექიმებმა ანალიზი აუღეს და დასკვნაც დადეს – მას ორგანიზმში იგივე მედიკამენტები ჰქონდა, რაც წინა გარდაცვლილებს. ბიჭი დაკითხეს და მან დაუფარავად თქვა, რომ სასმელი მისგან მოტყუებული გოგოს მამამ მოუტანა, აქაოდა, შევრიგდეთ, ეგებ, ჩემი გოგო ცოლად მოიყვანოო. ბიჭმა მაინც იუარა, არ სურდა ცოლის მოყვანა, გოგოსთან გაერთო და მიაგდო. მერე, როცა კაცი წავიდა, მის მიერ დატოვებული კონიაკი გახსნა, დალია და დაემართა ის, რაც დაემართა. ეჭვმიტანილი დააკავეს.

მისთვის ნამდვილი შოკი იყო იმის გაგება, რომ ორი ადამიანის მკვლელობაში ედებოდა ბრალი. მან ისიც აღიარა, რომ ზამთრისთვის შენახულ კონსერვებში წამალი თავად ჩაყარა, თუმცა...

„ცოლი მშობიარობას გადაჰყვა და გოგონას მეტი არავინ შემრჩა. ერთ დღეს, ის ცუდად გახდა და სამსახურში მისვლა დამაგვიანდა. ცვლის უფროსმა კი პირდაპირ გამათავისუფლა. ძლივს ვიშოვე ახალი სამსახური, ოღონდ უფრო დაბალხელფასიანი და უფრო ცუდი. მერე გოგო გაიზარდა, იმ ბიჭმა შეაცდინა და თავის მოკვლა მინდოდა. არაყში ავურიე ის წამლები, რაც სახლში ვიპოვე და ერთი ყლუპი მოვსვი, შემდეგ ოთახში შვილი შემოვიდა და თვითმკვლელობა გადავიფიქრე. ამის მიუხედავად, მთელი ღამე კოშმარები მელანდებოდა, მეგონა, ოთახში ეშმაკები დარბოდნენ, ვიღაც თითქოს თმაზე მქაჩავდა. დილით, წამლების ცარიელი შეფუთვები ვნახე, ვიყიდე და გადავწყვიტე, სამაგიერო გადამეხადა ყველასთვის. ასე, წლების შემდეგ მოვძებნე ის ქალი და კონსერვები მოვუწამლე. მინდოდა, ღამით კოშმარები მოლანდებოდა. იგივე გავუკეთე ბიჭსაც, მაგრამ მათი სიკვდილი არ მსურდა“, – ეს არის დაკავებულის მონაყოლი.

ყველაფერს კი გრიფით საიდუმლო ერთადერთი მიზეზით დაედო. აღნიშნული „კოქტეილით“ უშიშროება დაინტერესდა და დაკავებულს პრეპარატის შემადგენლობის დასახელება მოსთხოვა, შემდეგ კი მისი დამზადება სცადა. როგორც ამბობენ, დაკავებულმა ზუსტი დოზები ვერაფრით გაიხსენა – ალალბედზე ურევდა აბებს და იყენებდა იმას, რასაც იღებდა. საბოლოოდ, მას, გაუფრთხილებლობით მკვლელობისთვის, 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

31 მაისს, პოლიციელის პროფესიული დღე აღინიშნა

თბილისში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის წინ, პოლიციის პროფესიულ დღესთან დაკავშირებით, საზეიმო ღონისძიება გაიმართა. ცერემონიალს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მთავრობის წევრები, პარლამენტარები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები დაესწრნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების საზეიმო მსვლელობის შემდეგ, მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა პოლიციელებს პროფესიული დღე მიულოცა და ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართა.

„იყო პოლიციელი – მოითხოვს დიდ ფიზიკურ და სულიერ სიძლიერეს, სამართლიანობას, სიმამაცეს, ოპერატიულობას.

ურთულესია, სახლიდან გასულმა არ იცოდე, შინ დაბრუნდები თუ არა, თუმცა ეს თქვენი გააზრებული არჩევანია და გისურვებთ, რომ ყველას ღირსეულად გეტარებინოთ პოლიციელის მუნდირი და რაც მთავარია, სამუშაო დღის შემდეგ, საკუთარ ოჯახებს მშვიდობით დაბრუნებოდეთ.

ყოველდღიურად იბრძოლო კანონის აღსრულებისთვის, ადამიანების სიცოცხლის, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დასაცავად – დიდ სიმამაცეს მოითხოვს, თუმცა ემსახურო შენი ქვეყნის მოქალაქეებს, პასუხისმგებლობასთან ერთად, გამორჩეული საზოგადოებრივი როლია.

პირადად ჩემთვის და პოლიციისთვის, დღეს, ისე, როგორც არასდროს, უმნიშვნელოვანესია ადამიანის სიცოცხლე და მისი ხელშეუხებლობა. პოლიციელის ყოველდღიურ საქმიანობაში კრიმინალთან და დანაშაულთან ბრძოლის დროს ხშირია მომენტი, როდესაც ჩვენ გადაწყვეტილებას ვიღებთ მყისიერად, თუმცა ადამიანის სიცოცხლის დაცვა ამ გადაწყვეტილებების დროს, ჩვენი საქმიანობის მთავარი პრინციპია.

პანდემიით გამოწვეული სირთულეების მიუხედავად, ჩვენ ერთი წუთით არ შევფერხებულვართ კრიმინალთან უკომპრომისო ბრძოლაში. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, სამინისტროს ყველა დეპარტამენტი ეფექტიანად მოქმედებდა და ვფიქრობ, რომ თითოეული თქვენგანი და, რაც მთავარია, საზოგადოება დამეთანხმება ამაში.

ერთდროულად ვზრუნავთ ქვეყანაში წესრიგსა და უსაფრთხოებაზე, ვიცავთ და ვაკონტროლებთ საზღვრებს, ვებრძვით კრიმინალს, ვიცავთ ადამიანის უფლებებს, ვებრძვით ხანძრებსა და სტიქიებს, ვზრუნავთ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაზე.

გპირდებით, რომ ყოველთვის ვიქნები თქვენი პატივისა და ღირსების დამცველი, თუმცა ამავდროულად, მომთხოვნი და ობიექტური.

და ბოლოს, მინდა გულწრფელად გითხრათ – ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა, რომ ვარ ამ ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრი და თქვენთან ერთად ვემსახურები საქართველოს!" – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას ხაზი გაუსვა საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერას და მათ სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა.

შინაგან საქმეთა მინისტრის შემდეგ, პოლიციელებს სიტყვით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინიტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა და მათ მადლობა გადაუხადა ქვეყნისთვის გაწეული თავდაუზოგავი სამსახურისთვის.

„ჩემთვის დიდი პატივი იყო, ძვირფასო მეგობრებო, თქვენი მინისტრობა, თქვენთან ერთად მუშაობა და თქვენთან ერთად ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის მსახურება. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი, ყველაზე მეტად დასამახსოვრებელი პერიოდი ჩემს პოლიტიკურ საქმიანობაში. მე ყველაზე კარგად გავიგე იმ დროს, თუ რას ნიშნავს, იყო პოლიციელი. მე ძალიან კარგად ვიცი, თუ რაოდენ მძიმე არის თქვენი შრომა, თქვენი 24-საათიანი სამსახური ჩვენი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის წინაშე. ამისთვის ჩვენ მადლობას გეუბნებით თქვენ. თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის დამცველები. თქვენ უზრუნველყოფთ ჩვენი ქვეყნისა და მოქალაქეების უსაფრთხოებას, ჩვენი ხალხის, თითოეული მოქალაქის მშვიდ ძილს, კანონის უზენაესობას, საზოგადოებრივ წესრიგს.

სამწუხაროდ, ბევრი თქვენი კოლეგა შეეწირა ამ გმირულ საქმიანობას. ქედს ვიხრი იმ გმირი პოლიციელების ხსოვნის წინაშე, ვინც ყველაზე ძვირფასი, საკუთარი სიცოცხლე შესწირა ჩვენს ქვეყანას და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ღირსეულად თავი გასწირა ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხისთვის. მინდა, მადლობა ვუთხრა მათ ოჯახებს, მშობლებს, მეუღლეებს, შვილებს და მინდა ვუთხრა მათ, რომ სახელმწიფო თქვენ გვერდით დგას. ვიცი რა, თქვენი საქმიანობის სიმძიმე, მინდა, გითხრათ, რომ არაფერია იმაზე ძვირფასი, იმაზე მეტად საპატიო, ვიდრე საკუთარი სამშობლოსა და საკუთარი ხალხის მსახურება.

სამწუხაროდ, გარკვეული ანტისახელმწიფოებრივი ძალები მუდმივად ცდილობენ პოლიციისა და პოლიციელების საქმიანობის მიზანმიმართულ დისკრედიტაციას, რაც არის ყოვლად დაუშვებელი. სახელმწიფო იქნება უკომპრომისო ყოველი ასეთი მცდელობის მიმართ და ჩვენ არ დავუშვებთ, ჩვენი ღირსეული პოლიციელების დისკრედიტაციას. ჩვენ მეტი უნდა გავაკეთოთ თქვენთვის, თქვენი სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად, თქვენი სოციალური გარანტიების უზრუნველსაყოფად. დღეს პოლიცია არის პოლიტიკურად ნეიტრალური უწყება. **დღეს ჩვენ გვყავს ძლიერი, გამართული, პროფესიონალი პოლიცია. ამისთვის კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას. ჩვენ ვამაყობთ თქვენით. თქვენ გყავთ ღირსეული შინაგან საქმეთა მინისტრი. მინდა, მადლობა ვუთხრა ვახტანგ გომელაურს. თითოეულ პოლიციელს კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას და გისურვებთ წარმატებას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი"**, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სიტყვით გამოსვლისას.

პოლიციელებს სიტყვით მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა.

„მივესალმები ყველა პოლიციელს, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გვიცავენ და იცავენ ქვეყნის უსაფრთხოებას, იცავენ სიმშვიდეს, იცავენ ჩვენს მოქალაქეებს, ძალიან დიდი მადლობა. მინდა, ყველას მოგილოცოთ დღევანდელი პროფესიული დღე. თქვენთან ერთად, დღევანდელ დღეს ვულოცავ ვეტერან პოლიციელებს, ყველას, ვისაც სახელმწიფოს სტაბილურობის დაცვაში წვლილი მიგიძღვით. ამ დღეს, მსურს, პატივი მივაგო მათ, ვინც სიცოცხლე ან ჯანმრთელობა არ დაიშურა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისთვის. დემოკრატიული, ძლიერი და თავისუფალი სახელმწიფო მხოლოდ მაშინ არის შემდგარი, როცა ქვეყანაში უზრუნველყოფილია მოქალაქეების უსაფრთხოება, დაცულია მათი უფლებები. საქართველოს მიზანი სწორედ ასეთ, დემოკრატიულ, ევროპულ და სტაბილურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაა. ამ მიზნის მიღწევაში ქართული პოლიციის როლი უდიდესია.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 30 წელი გავიდა. ქართულ პოლიციაზე, როგორც სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ საყრდენ ინსტიტუტზე, სრულად აირეკლა, სამი ათეული წლის განმავლობაში, ქვეყანაში განვითარებული მნიშვნელოვანი მოვლენები, სახელმწიფოს წინაშე არსებული გამოწვევები და საზოგადოების მოთხოვნები. ქართულ სახელმწიფოსა და საზოგადოებასთან ერთად, ქართული პოლიციაც დაადგა ევროპისკენ მიმავალ გზას. ძირეული და მასშტაბური რეფორმებისა და თითოეული პოლიციელის დაუღალავი შრომის შედეგად, იგი თანამედროვე და დემოკრატიული სტანდარტების მქონე პოლიციად ჩამოყალიბდა.

დღეს საქართველოს ჰყავს საერთაშორისო სტანდარტების ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი პოლიცია, სადაც მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალები მუშაობენ. სწორედ ამან განაპირობა საქართველოსა და ევროპოლს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების გაფორმება. ამით ევროპის პოლიციის სამსახურმა აღიარა ქართული პოლიციის სანდოობა და მნიშვნელობა საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში. ევროპოლთან სტრატეგიული თანამშრომლობა ნიშნავს ქართული პოლიციის სრულფასოვან ჩართულობას ევროპის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების პროცესში. ეს ნიშნავს ქართული პოლიციისა და შესაბამისად, საქართველოს მზაობას, ეფექტიანად ებრძოლოს საერთაშორისო დანაშაულს და ამით წვლილი შეიტანოს რეგიონის, ევროპისა და გლობალური უსაფრთხოების გაძლიერებაში", – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა.

ღონისძიებაზე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ პოლიციელთა ხსოვნას.

საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა წარმატებული პოლიციელები დააჯილდოვეს.

პოლიციელის დღის საზეიმო ღონისძიების დასასრულს, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის 20-მა კურსანტმა პოლიციელის ფიცი დადო.

ხვიჩა კვარაცხელია ნაკრებიდან წავიდა

2 და 6 ივნისს, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ორი ამხანაგური მატჩი აქვს. ვილი სანიოლის შეგირდები ჯერ რუმინეთს სტუმრობენ, შემდეგ – ნიდერლანდებს. რაღა თქმა უნდა, ყველას გვაინტერესებდა, როგორ იასპარეზებდა ამ მატჩებში ნაკრების მთავარი ვარსკვლავი, ხვიჩა კვარაცხელია, თუმცა „რუბინის“ შემტევმა ნაკრების ბაზა დატოვა. საქმე ის გახლავთ, რომ დღე-დღეზე, კვარაცხელიას ახალი კლუბის ვინაობა უნდა გაირკვეს. მის აგენტთან მოლაპარაკებებს ევროპის ტოპ-კლუბები აწარმოებენ და თუ ამხანაგურ შეხვედრებში კვარა ტრავმას მიიღებდა, ტრანსფერი, მინიმუმ, შეფერხდებოდა. შესაბამისად, ერთობლივი გადაწყვეტილებით, კვარაცხელიამ შეკრება დატოვა. მით უმეტეს, ამხანაგური მატჩები მხოლოდ იმისთვისაა, რომ მწვრთნელმა ახალი ტაქტიკა დაამუშაოს და საქმეში ახალი ფეხბურთელები ნახოს. ხვიჩა კი არც ახალია და არც სხვადასხვა ტაქტიკაზე მორგება გაუჭირდება. მოკლედ, არც მწვრთნელებმა გარისკეს და არც – ფეხბურთელმა.

რაც შეეხება ნაკრების შემადგენლობას, მას ქვემოთ გაგაცნობთ. მანამდე გეტყვით, რომ ვილი სანიოლის გადაწყვეტილებით, რუმინეთთან შეხვედრაში, კარს ბათუმის „დინამოს“ მეკარე, ლაზარე კუპატაძე დაიცავს. ბოლო დროს, კარში მუდმივად გიორგი ლორია იდგა, თუმცა მწვრთნელს საქმეში სხვა გოლკიპერების ნახვაც სურს და ეს კუპატაძის შანსია.

მეკარეები: გიორგი ლორია („ანორთოსისი“, კვიპროსი), ლაზარე კუპატაძე („დინამო“, ბათუმი), გიორგი მამარდაშვილი („ლოკომოტივი“, თბილისი).

მცველები: გურამ კაშია („ლოკომოტივი“, თბილისი), ოთარ კაკაბაძე („ტენერიფე“, ესპანეთი), ლაშა დვალი („ფერენცვაროში“, უნგრეთი), დავით ხოჭოლავა („შახტარი“, უკრაინა), გურამ გიორბელიძე („ვოლფსბერგი“, ავსტრია), საბა კვერკველია („როტორი“, რუსეთი), გრიგოლ ჩაბრაძე („დინამო“ ბათუმი), ირაკლი აზაროვი („დინამო“, ბათუმი).

ნახევარმცველები: ნიკა კვეკვესკირი („ლეხი“, პოლონეთი), გიორგი აბურჯანია („კარტახენა“, ესპანეთი), საბა ლობჟანიძე („ანკარაგუჯუ“, თურქეთი), ჯაბა ჯიღაური („დინამო“, ბათუმი), ოთარ კიტეიშვილი („შტურმი“, ავსტრია), ვაკო გვილია („ლეგია“, პოლონეთი), ზურიკო დავითაშვილი („როტორი“, რუსეთი), მურთაზ დაუშვილი („ანორთოსისი“, კვიპროსი), ლევან შენგელია („ქონიასპორი“, თურქეთი).

თავდამსხმელები: თორნიკე ოქრიაშვილი (უკლუბოდ), სერგო კუხიანიძე („სამგურალი“, წყალტუბო) გიორგი მიქაუტაძე („მეცი“, საფრანგეთი), ბუდუ ზივზივაძე („ფეჰერვარი“, უნგრეთი), გიორგი ბერიძე („უიპეშტი“, უნგრეთი).

ამხანაგური მატჩების განრიგი:

2 ივნისი: 22:45სთ. (პლოიეშტი) რუმინეთი – საქართველო

6 ივნისი: 20:00სთ. (ენსხედე) ნიდერლანდები – საქართველო

ქეცბაია „ანორთოსისში“ ორი წლით დარჩა

როგორც წინა ნომერში ვივარაუდეთ, თემურ ქეცბაიამ „ანორთოსისთან“ კონტრაქტი გაახანგრძლივა და კლუბს 2023 წლამდე გაწვრთნის. კვიპროსული მედიის ინფორმაციით, მხარეები მხოლოდ მას შემდეგ შეთანხმდენენ, რაც ქართველმა სპეციალისტმა, კლუბის ხელმძღვანელობისგან, ახალი ფეხბურთელების დამატებასა და უფრო სოლიდურ ბიუჯეტზე გარანტია მიიღო. შედეგად, ქეცბაიას მიზნად ქვეყნის ჩემპიონატის მოგება დაუსახეს.

შეგახსენებთ, რომ ქეცბაიამ „ანორთოსისი“, პირველად, 2004 წელს ჩაიბარა და ხუთი წლის განმავლობაში წვრთნიდა. მაშინ ქართველმა მწვრთნელმა ფამაგუსტურ კლუბს, ორჯერ კვიპროსის ჩემპიონატი, ერთხელ კი კვიპროსის თასი მოაგებინა.

ქეცბამ „ანორთოსისი“ 2019 წლის ივნისში, მეორედ ჩაიბარა. ათი წლის შემდეგ დაბრუნებულმა მწვრთნელმა, ფამაგუსტელებს კვიპროსის თასი მოაგებინა, რაც... მისი წასვლის შემდეგ, კლუბისთვის პირველი ტიტული იყო.

რაც შეეხება ჩემპიონატს, „ანორთოსისმა“, კვიპროსის პირველ დივიზიონში მეოთხე ადგილი დაიკავა და პირველადგილოსან „ომონიას“ 22 ქულით ჩამორჩა.

ვინ შეხვდება „დინამოს“

15 ივნისს, ჩემპიონთა ლიგის მომავალი სეზონის წილისყრა გაიმართება. საკვალიფიკაციო ეტაპიდან გუნდები ძირითად ბადეში მოხვედრას შეეცდებიან, თუმცა იქამდე დიდი გზა ექნებათ გასავლელი. რაღა თქმა უნდა, საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებს ჩვენი ჩემპიონიც. გასულ კვირას, თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი შეეცვალა – გიორგი ნემსაძის ნაცვლად, გუნდი კახა ცხადაძემ ჩაიბარა და მას მოსამზადებლად აშკარად ცოტა დრო აქვს. რაც შეეხება „დინამოს“ შესაძლო მეტოქეებს, უეფამ სია გამოაქვეყნა და პირველ ეტაპზე, საქართველოს ყველაზე ტიტულოვან კლუბს, ამ გუნდებიდან ერთ-ერთი შეხვდება: „რიგა“ (ლატვია), „ჰიკ“ (ფინეთი), „ლინფილდი“ (ჩრდ. ირლანდია), „ფოლა ეში“ (ლუქსემბურგი), „შახტიორი“ (სოლიგორსკი, ბელარუსი), „ნეფთჩი“ (აზერბაიჯანი), „მაკაბი“ (ჰაიფა, ისრაელი), „ქონაჰი“ (უელსი), „შემროკი“ (ირლანდია), „ვალური“ (ისლანდია), „ბოდო გლიმტი“ (ნორვეგია), „მურა“ (სლოვენია), „ტეუტა“ (ალბანეთი), „ბორაცი“ (ბოსნია-ჰერცოგოვინა), „ჰამრუნი“ (მალტა).

სამწუხაროდ, მეტოქეთა სისუსტის მიუხედავად, უნდა ვთქვათ, რომ თბილისურ კლუბს ნებისმიერ მათგანთან უმძიმესი ბრძოლის გადატანა მოუწევს და თუ ამ ეტაპს დაძლევს, მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე, ბევრად ძლიერ მეტოქეებს დაეჯახება.

შეგახენებთ, რომ „დინამოს“ გარდა, ევროთასებზე (კონფერენს ლიგაზე), სამი ქართული კლუბი იასპარეზებს – ბათუმის „დინამო“, გორის „დილა“ და „გაგრა“, ასევე, საკვალიფიკაციო ეტაპიდან იწყებენ.

გაიცანით, „თამთას სივრცის“ ზღაპრული თილიები

მაია მიშელაძე, 593-51-90-12

ეს მხატვარი თამთა ელბაქიძეა. გადავწყვიტე, „ვერსიის“ მკითხველებს მისი სივრცე და ზღაპრული სამყარო გავაცნო. არცთუ დიდი ხანია, რაც სოციალურ ქსელში ძალიან საინტერესო ახალი გვერდი – „თამთას სივრცე“ გამოჩნდა. პანდემიის, მძიმე, დამღლელი პოლიტიკური ცხოვრებისა და დუხჭირი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, განტვირთვას თამთა ელბაქიძის მშვიდ, ჯადოსნურ, თბილ და მყუდრო გარემოში გთავაზობთ. ამ საოცარ გარემოს კი თამთასვე შექმნილი ზღაპრული თილიები ქმნიან. თილიებს ფრთები აქვთ და ადამიანებზე ზრუნავენ, მაგრამ ანგელოზები არ არიან; კეთილ საქმეებს აკეთებენ, ხელთ ჯადოსნური ჯოხებიც კი უპყრიათ, თუმცა ფერიები არ არიან. გაინტერესებთ, ვინ არიან თილიები? – მომყევით, ერთად გავიცნოთ და მერწმუნეთ, არ ინანებთ...

„ისინი ადამიანები არიან, მაგრამ ფრთებით, რომლებსაც სიკეთე მოაქვთ და ცდილობენ, სხვები გააბედნიერონ!“

თამთა ელბაქიძე პროფესიონალი მხატვარია. ამბობს, რომ ხატვა ბავშვობიდან იტაცებდა, რადგან ისეთ ოჯახში იზრდებოდა, სადაც მხატვრობა უცხო ნამდვილად არ ყოფილა:

„დეიდა მხატვარია. ის რომ ხატავდა, ინტერესით ვაკვირდებოდი ყველა დეტალს. ყოველთვის, როცა დროს გამოვნახავდი, მეც ვხატავდი. ვსწავლობდი ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო სკოლაში, საკმაოდ სასიამოვნოდ დატვირთული ბავშვობა მქონდა. ვფიქრობ, ჩემს ნახატებში ბალეტის გავლენაც იგრძნობა“, – ასე იწყება თამთას ამბავი.

დიახ, ასეა: თამთას შემოქმედებაში ბალეტის გავლენა ნამდვილად იგრძნობა – მისი თილიები ბალერინებსაც ჰგვანან, მსუბუქები და ჰაეროვნები არიან. ნამუშევრები გრაფიკაშია შესრულებული – აკვარელის ტექნიკითა და ტუშით. ფერები კი... მართლაც საოცარ ფერებს იყენებს – პასტელის მშვიდ და თბილ ტონებს. სწორედ ამ ფერებით ქმნის თამთა იმ გამორჩეულ ზღაპარს, რომელიც ასე ძალიან მომწონს, მამშვიდებს და მაბედნიერებს...

„სკოლის შემდეგ მაინც მხატვრობისკენ წავიდა ჩემი ინტერესი და სამხატვრო აკადემიაში, ტანსაცმლის დიზაინის ფაკულტეტზე ჩავაბარე. აკადემიის დამთავრების შემდეგ, სხვადასხვა ადგილას ჩემი პროფესიით ვმუშაობდი. ოჯახის შექმნის შემდეგ, ბოლომდე ბავშვებს დავუთმე ჩემი დრო. როდესაც წამოიზარდნენ,



ჯერ მხოლოდ თავის სამყაროს იცნობს, სადაც სულ სითბოა. მას უკვე მოუთმენლად ელიან იმ დიდ, მეორე სამყაროში, სადაც მხოლოდ სითბოს კი არა, სიყვარულს, სინათლეს და ბედნიერებას აჩუქებენ. ის, ის ბედნიერი ვარსკვლავია, რომლის იმედიც დედიკოს და მამიკოს აქვთ. გასკდება ფერადი ბუშტი, საიდანაც ახალი სიცოცხლე დაიბადება, ის შეცვლის ყველაფერს, სამყაროს შეცვლის, მისი დაბადებით ბედნიერი ადამიანების რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება...

„სიყვარულის ბუშტი“



ჩემმა ფერიამ გადაწყვიტა თქვენთვის ბედნიერების ენდორფინებით სავსე ტკბილეული მოამზადოს. მისი მომზადებული მურაბები დაატკობობს და დაათბობს თქვენს გულებს. ჯანმრთელობაზეც ზრუნავს ფერია, შესაბამისად, მუარაბა არ შეიცავს შაქარს. ძალიან მარტივი რეცეპტი აქვს, რომელსაც გიზიარებთ კიდეც: ბევრი ხილი, ერთი მწიკვი სიყვარული, ერთი მწიკვი სიხარული, ერთი მწიკვი ბედნიერება, ერთი მწიკვი სიტკბო და ერთი მწიკვი პოზიტივი. სპეც მურაბის მომზადების ტექნოლგია კი მხოლოდ პირადში.

ნახატს დავარქვი „მურაბების ქვეყანა“

თილიები სიყვარულს უფრთხილდებიან. გრძნობას, რომელიც მათ აერთიანებთ, ცივ ნიავს არ აკარებენ, მთელი ცხოვრება სურთ, რომ გული ისეთი მთელი და ბედნიერი იყოს, როგორიც ახლაა. ისინი სიყვარულს არ მალავენ, თუმცა, უფრთხილდებიან, ავდარის დროს იფარავენ, დარის დროს კი მძაფრად ძგერის საშუალებას აძლევენ

„გული ზრუნავს“

ბედნიერებისგან ღუბლებში ფრენა გინდათ...? თილიებმა გადაწყვიტეს ღრუბლები თქვენთვის შეაგროვონ, მათ ხომ სურვილების ასრულება შეუძლიათ... ცაში თუ აიხედავთ, ბედნიერებისფერ ღრუბლებს დაინახავთ, აირჩიეთ ერთ-ერთი, ის უკვე თქვენია... ჩაუთქვით სურვილი და ის აუცილებლად აგისრულდებათ... თილიები კი იზრუნებენ იმაზე, რომ ფაფუკი ღრუბლები თქვენი ბედნიერების საწინდარი იყოს...

„ბედნიერებისფერი ღრუბელი“

ერთ საღამოს, როცა გზას მთვარის შუქი ანათებდა, თილია გამოჩნდა. ყველამ იცოდა, რომ თილია მხოლოდ კეთილ საქმეებს აკეთებდა, მაგრამ ამას არავინ ელოდა. მას მოწყვეტილი ვარსკვლავები შეეგროვებინა. თითოეულ მათგანში კი თქვენი სურვილებია მოთავსებული. კარგად დააკვირდით, სავარაუდოდ თქვენი ვარსკვლავიც აქ არის.

„მოწყვეტილი ვარსკვლავები“

მივხვდი, რომ გამიჩნდა დრო, ჩემი პროფესიით რაღაც რომ მეკეთებინა და გარკვეული პერიოდის მანძილზე, სამკაულებს ვქმნიდი“.

პერიოდულად სულ ხატავდა, ოღონდ მხოლოდ თავისთვის. მეუბნება, რომ გამორჩეულ ადამიანებს ხატავდა – მსუბუქებსა და ჰაეროვნებს. ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტა, ნახატი ჩარჩოში ჩაესვა და სახლში დაკიდა. მეუღლემ, რომელიც პროფესიით ჟურნალისტია, ნახატს ფოტო გადაუღო და სოციალურ ქსელში, თავის პირად გვერდზე გამოაქვეყნა.

„ამას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რასაც მართლა არ ველოდი. საზოგადოების ამ რეაქციამ განაპირობა, გამეკეთებინა ჩემი გვერდი, სადაც განვათავსებდი ჩემს ნამუშევრებს. ასე შეიქმნა გვერდი – „თამთას სივრცე“. ესაა გვერდი, სადაც ჩემი სამყაროა, აქ ჩემი პერსონაჟები არიან წარმოდგენილნი...

რაც შეეხება პერსონაჟებს, ისენი ჩემი ბავშვობიდან მოდიან. ადამიანებს ყოველთვის ვხატავდი, მაგრამ არ მინდოდა, ისინი სტანდარტულები ყოფილიყვნენ, ამავდროულად, არც კლასიკური ანგელოზების ხატვა მინდოდა. ისინი ადამიანები არიან, მაგრამ ფრთებით, რომლებსაც სიკეთე მოაქვთ და ცდილობენ, გააბედნიერონ სხვები. სახელი თილიაც თავისით მოვიდა. მსურდა, ერთ სახელში გაერთიანებულიყვნენ. ფიქრის დროს, საიდან არ ვიცი, მაგრამ თავისით ამოტივტივდა გონებაში და ჩემს პერსონაჟებს თილიები დავარქვი“.

როგორც გითხარით, თილიები საკუთარ, უფრო ზუსტად კი „თამთას სივრცეში“ ცხოვრობენ და ადამიანებს ეხმარებიან.

სხვათა შორის, მის ყველა ნახატს თავისი, პატარა ამბავიც ერთვის. ესაა ნახატის ერთგვარი ანოტაცია, შინაარსი, მაგრამ თამთა აქაც გამორჩეულია – ვინაიდან მისი სამყარო და პერსონაჟები ჯადოსნურები არიან, ცხადია, ეს პატარა ამბავიც ზღაპრულია.

სწორედ ამიტომ, მისი ყველა ნახატი რაღაცით ჰგავს კიდეც ერთმანეთს, თილიები ერთ დიდ ამბავს ქმნიან, ოღონდ სხვადასხვა, პატარ-პატარა ეპიზოდებით.

თითოეული ნახატი ოთხი-ხუთი წინადადებით აღწერილი პატარა ზღაპარია, რომელიც ჩვენს თანამედროვე, უფერულ ყოფიერებას აფერადებს... ამიტომაც ვეკითხები თამამად, ხომ არ აპირებს, რომ სამომავლოდ, ერთ წიგნად აკინძული ალბომი გამოსცეს. თავმდაბლად და მორიდებით მპასუხობს, რომ ჯერჯერობით, ამგვარი გეგმა მხოლოდ იდეის დონეზე აქვს. არც გამოფენას გეგმავს უახლოეს მომავალში, რადგან მიხსნის, რომ ახლა, ამისთვის მზად არ არის. თუმცა ზუსტად ვიცი, დადგება დრო და თამთა ელბაქიძე გამოფენას აუცილებლად გამართავს:

„დღეს, ჩემი ნამუშევრები ონლაინგალერეაში – mygallery.ge არის წარდგენილი. როცა დამირეკეს და შემომთავაზეს, ძალიან გამეხარდა. რა თქმა უნდა, დავთანხმდი და რამდენიმე ნახატიც წარვადგინე“.

გვიან გაზაფხულზე, თილიების ქვეყანაში, გულების შეგროვების სეზონი დგება. იკრიბებიან, კრეფენ, ერთმანეთში ცვლიან გულებს. მოგროვილი გულები კი მთელი წელი ჰყოფნით, ჰყოფნით იმისთვის, რომ ბევრი სიკეთე აკეთონ, სურვილების ასრულება შეძლონ, ბედნიერების მოტანა შეეძლოთ. ამ დროს თილიების ქვეყანაში განსაკუთრებული სურნელი დგება, გულის სურნელი.

„გულის მოსავალი“

ᲙᲘᲑᲝᲡ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐᲓᲔᲡ

ვაქცინა თავის ტვინის სიმსივნის – გლიომების წინააღმდეგ გერმანელმა სწავლულებმა შექმნეს. ევროპის ყველაზე დიდ კვლევით ცენტრში, კლინიკური ცდების პირველი ეტაპი წარმატებით დასრულდა. ექსპერიმენტში მონაწილე 33 აცრილი პაციენტიდან, 93%-ის ორგანიზმს იმუნური პასუხი ჰქონდა, 82%-ის შემთხვევაში, უკვე სამი წელია, სიმსივნის პროგრესირება შეჩერდა. კვლევებით დადასტურდა, რომ ეს ვაქცინა ორგანიზმს ეხმარება იმუნური სისტემის სტიმულირებაში, მოქმედებს მუტაციის გამომწვევ გენებზე და უჯრედების გამრავლების პროცესს აჩერებს.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, ტვინის უჯრედების ცილის მუტაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტი იყო, რადგან ის მხოლოდ გლიომებისთვისაა დამახასითებელი და ჯანმრთელ ქსოვილში არ გვხვდება. ახალი ვაქცინა კი საშუალებას იძლევა, პრობლემა საფუძველშივე აღმოვფხვრათ. კლინიკური კვლევები ჯერ არ დასრულებულა, თუმცა მკვლევარები ვაქცინაზე უკვე დიდ იმედებს ამყარებენ.

კორუფციონერების სარეაბილიტაციო კურსი ესპანეთში

ესპანეთში, სპეციალური სარეაბილიტაციო პროგრამა ამუშავდა, რომელიც კორუმპირებულ ჩინოვნიკებს ქურდობის სურვილის გაქრობაში უნდა დაეხმაროს. პროექტი 11-თვიანი სასწავლო ბანაკია, რომელიც ციხის ტერიტორიაზე მდებარეობს. „ახლა, ჩემი ერთადერთი ამოცანაა, მიყენებული ზიანი გამოვასწორო“, – ამბობს 75 წლის კარლოს ალბუკერკე, ყოფილი ნოტარიუსი, რომელიც 400 ათასი ევროს მითვისებისთვის, ოთხწლიან სასჯელს იხდის. ის დათანხმდა, რომ სპეციალისტების ჯგუფთან ერთად,მ ფსიქოთერაპიის 32 კურსი გაევლო.

პროგრამის ფარგლებში, მსჯავრდებულები ჯგუფურ თერაპიას გაივლიან, სახელწოდებით – „პირადი შესაძლებლობები“ და „ფასეულობები“, თანაც ისეთივე კორუფციონერებთან, როგორებიც თვითონ არიან. ამ ექსპერიმენტული პროექტის მიზანია იმის შემოწმება, შეიძლება თუ არა ფინანსური დანაშაულისთვის გასამართლებული ადამიანების სოციუმში დაბრუნება და პატიოსნად მუშაობა.

ესპანეთში, ბოლო წლებში, ყველაზე სკანდალურ და გახმაურებულ საქმეებს შორისაა „გიურტელის საქმე“ – მმართველი პარტიის ხაზინადრის გამოაშკარავება, რომლის უბის წიგნაკშიც ნახეს მონაცემები, სახელმწიფო კონტრაქტებში აღებული ქრთამების შესახებ. ასევე, „პალაუს საქმე“ – კატალონური მუსიკის სასახლის პრეზიდენტმა, დაწესებულებას 23 მილიონი ევრო მოპარა და ის საკუთარი სახლის რემონტსა და მდიდრულ დასვენებაზე დახარჯა. ესპანეთის ხელისუფლებაში დარწმუნებულნი არიან, რომ ფინანსურ დამნაშავეებს მეორე შანსი უნდა მისცენ. რეაბილიტაციის პროექტი მარტიდან, ქვეყნის ცხრა ციხეში ამოქმედდა.

ᲞᲐᲠᲙᲘ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲖᲔ ᲒᲐᲐᲨᲔᲜᲔᲡ

ამერიკის უდიდეს მეგაპოლისში, ნიუ იორკში, ახალი საჯარო პარკი „პატარა კუნძული“ – Little Island გაიხსნა. ამაში განსაკუთრებული არაფერია, გარდა იმისა, რომ მწვანე სივრცე მდინარე ჰუძონზეა გაშენებული. როგორც CNN-ი გვამცნობს, ახალი პარკის გაშენების ინიციატორი, მილიარდერი ბარი დილერია, რომელმაც ეს უჩვეულო პროექტი 260 მილიონი დოლარით დააფინანსა.

„პატარა კუნძული“ მდინარეში არსებული ბეტონის ბოძებით შექმნილ სივრცეზეა მოწყობილი. მისი ფართობი 1.1 ჰექტარია. ახალ მწვანე სივრცეში მოხვედრას, ნიუ იორკელები და ქალაქის სტუმრები, ნაპირთან დაკავშირებული საფეხმავლო ბილიკით შეძლებენ.

100 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲔᲜᲡᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

დიდ ბრიტანეთში მცხოვრები ქალბატონი, ბერილ კარი თვითიზოლაციიდან სამსახურში დაბრუნდა. პენსიონერი კარი, რომელმაც უკვე მე-100 წელში შეაბიჯა, 17 წლის განმავლობაში, ლონდონის ერთ-ერთ კლინიკაში, ექთნად მუშაობდა. პანდემიის დაწყების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში, ის თვითიზოლაციაში იმყოფებოდა. ეს იყო მოსაწყენი 12 თვე, – ამბობს ბერილი.

ამ ხნის განმავლობაში, ქალბატონი კარი სახლიდან არ გადიოდა და მხოლოდ შვილს ეკონტაქტებოდა, ტელევიზორს უყურებდა და გასართობად კროსვორდებს ხსნიდა. სამსახურში დაბრუნების მიუხედავად, ხანდაზმული ქალბატონი ძველ პოზიციაზე ვერ იმუშავებს, თუმცა შეძლებისდაგვარად, მედპერსონალს დაეხმარება. „ბედნიერი ვარ, რომ დავბრუნდი და რაღაც სასარგებლოს ვაკეთებ“, – აცხადებს პენსიონერი.

პოლიტიკა დასუფთავების სამსახურზე გაცვალა

ენ-სოფი ჰერმანსონი შვედეთში, სიდიდით მეორე ქალაქ გიოტებორგის მერი იყო, თუმცა მან პოლიტიკა ნაგვის მანქანის მძღოლობაზე გაცვალა. ის აღიარებს, რომ ნაკლებად პრესტიჟულ სამუშაოზე გადასვლამ გააბედნიერა. ქალბატონი ჰერმანსონი, ქალაქის მერის თანამდებობას 2016-18 წლებში იკავებდა. მონაწილეობდა მომდევნო არჩევნებშიც, მაგრამ ოპონენტთან დამარცხდა.

როგორც ჩანს, ამ ფაქტს ქალი დიდად არ გაუნაწყენებია, რადგან მიხვდა, რომ პოლიტიკით დაიღალა და ცხოვრების კარდინალურად შეცვლა გადაწყვიტა. ყოფილი პოლიტიკოსი არაფერს ნანობს. ის ამბობს, რომ მერის პოზიცია საკმაოდ ნერვული და დამღლელი იყო. „ამჟამინდელ სამსახურსაც აქვს თავისი უარყოფითი ნიუანსები, მაგრამ ეს რუტინული სამუშაოა, მოსაწყენი სხდომებისა და სატელეფონო ზარების გარეშე“, – ამბობს ქალბატონი ჰერმანსონი.

კრევეტების დახოცვისთვის დააჯარიმეს

აშშ-ში, ჰავაის შტატში მცხოვრები მამაკაცი 633.4 ათასი დოლარით იმიტომ დააჯარიმეს, რომ კრევეტები დახოცა. შტატის მიწისა და ბუნებრივი რესურსების საბჭომ უზარმაზარი ჯარიმა გამოუწერა უეინ სპატცს – მან წყალსატევში ჭიანჭველების შხამი გაუშვა, რითაც 6.25 ათასი კრევეტი დახოცა. სპატცის დანაშაული მაშინ გამოაშკარავდა, როცა გასულ წელს, ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა დეპარტამენტში იჩივლა.

თვითმხილველმა განაცხადა, რომ დაინახა, როგორ ჩაუშვა მამაკაცმა თხევადი შხამი წყალში და როგორ ამოტივტივდა ზედაპირზე ათასობით მკვდარი კრევეტი. რამდენიმეთვიანი გამოძიების შემდეგ, დამნაშავის ვინაობა დაადგინეს და შესაბამისი სასჯელიც განსაზღვრეს – ყოველი მოკლული ცხოველისთვის, სპატცს 100 დოლარის გადახდა დააკისრეს. ჯარიმის თანხაში შედის, ასევე, მომწამლავი ნივთიერების უკანონო გამოყენება – 8.64 ათასი დოლარი და სასამართლო ხარჯებიც. დღეისთვის, ეს ყველაზე დიდი ჯარიმაა შტატში, რაც გარემოსთვის ზიანის მიყენების გამო გამოუწერიათ.

მუყაოს მანქანა ნამდვილის ფასად გაყიდა

ამერიკელმა ბლოგერმა, დევიდ ჯონსმა Lamborghini Aventador-ი მუყაოსგან ააწყო და აუქციონზე, ლამის, ნამდვილის ფასად გაყიდა. ჯონსმა ავტომობილი ქაღალდის მინიატურული მოდელისგან შექმნა, რომელიც ინტერნეტში აღმოაჩინა. ბლოგერმა დეტალების მასშტაბები 5.6-ჯერ გაადიდა და მიიღო 1.65 მეტრი სიგანისა და 3.78 მეტრი სიგრძის მანქანა. ამ სამუშაოს ამერიკელმა ოთხი კვირა მოანდომა, თუმცა ორნახევარი კვირა – გარე კორპუსის აწყობას დასჭირდა.

ჯონსმა აღიარა, რომ საკუთარ ნახელავში, 50 დოლარზე მეტის მიღების იმედი არ ჰქონდა, თუმცა აუქციონზე 132 ბიჯის შემდეგ, მუყაოს ლამბორგინი 10.4 ათას დოლარად, ახალ ზელანდიელმა მყიდველმა დაისაკუთრა. მიღებული თანხა ჯონსმა ოკლენდში მდებარე ბავშვთა საავადმყოფოს Starship გადაურიცხა. „ამ კლინიკაში ვკურნალობდი სიმსივნეზე, როცა 14 წლის ვიყავი. იქ საუკეთესო ადამიანები მუშაობენ. როცა გავგე, რა თანხას ავიღებდი ჩემს ნახელავში, გადავწყვიტე, მთლიანად ამ საავადმყოფოსთვის გადამერიცხა“, – განაცხადა ჯონსმა.

ქორწილი თვითმფრინავში გადაიხადეს

ინდოელმა წყვილმა თვითმფრინავი იქირავა, რათა კარანტინის შეზღუდვების გვერდის ავლით, 160-კაციანი ქორწილი ეზეიმა. მექორწილეები ტამილანდის შტატიდან გაფრინდნენ, სადაც კორონავირუსის შემთხვევათა რაოდენობის ზრდის გამო, სადღესასწაულო ცერემონიაზე 50-ზე მეტი სტუმრის მიწვევა აკრძალულია. სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში აცხადებენ, რომ გამოიძიებენ ინციდენტს, კომპანია SpiceJet-ის თანამშრომლებს კი, რომლებიც თვითმფრინავის ბორტზე იმყოფებოდნენ, დაითხოვენ.

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში ამბობენ, რომ Boeing-737 ტურისტული სააგენტოს თანამშრომელმა იქირავა, რათა ქორწილის შემდეგ, წყვილს ემოგზაურა. კომპანიის თანამშრომლები ამბობენ, რომ ბორტზე ყველა მგზავრი გააფრთხილეს, რათა პირბადეები გამოეყენებინთა და დისტანციაც დაეცვათ. საქორწინო ცერემონია ორ საათს გაგრძელდა, ვიდრე სიძე-პატარძალი და სტუმრები მადურაიადან ბანგალორში ჩაფრინდებოდნენ.

ᲓᲘᲡᲢᲐᲜᲪᲘᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲔᲑᲡ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲔᲞᲐᲢᲘᲟᲔᲑᲘᲐᲜ

მსოფლიოში აქტიურად დაიწყო კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. Pანდემიისგან დაზარალებული ტურიზმის წასახალისებლად, სხვადასხვა ქვეყნები ცდილობენ, რამე ორიგინალური მეთოდი მოიფიქრონ. ასე მაგალიტად, ცოტა ხნის წინ გაირკვა, რომ პორტუგალიაში, კუნძულ მადეირაზე, სოფელს ააშენებენ, სადაც მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, დისტანციურად მომუშავე ადამიანები შეძლებენ ჩასვლას.

მოგზაურების წახალისება იტალიამაც გადაწყვიტა. აპენინებზე, ორი ქალაქის – რიეტისა და სანტა-ფიორას ადმინისტრაცია იმ ადამიანებს, რომლებიც ამ ქალაქებში სახლებს იქირავებენ, გადასახადის 50%-ს დაუფარავს. რიეტი რომის მახლობლად, ლაციოში მდებარეობს, ხოლო სანტა-ფიორა – ულამაზეს ტოსკანაში. ორივე კომუნა ახალგაზრდობის სიმცირეს უჩივის და სწორედ ამიტომ, სტუმრების ხანგრძლივი ვადით მიღება გადაწყვიტეს, რომლებსაც შესაძლებლობა ექნებათ, დატკბნენ შუა საუკუნეების შენობებით, რენესანსის პერიოდის მოედნებით, ბარიკოს სტილის სასახლეებისა და ულამაზესი ბუნების ხილვით.

მთავრობის ამ ინიციატივით რომ ისარგებლოთ, ქალაქის მერს უნდა დაუმტკიცოთ, რომ დისტანციურად ხართ დასაქმებული და იქ დარჩენას ორ თვეზე მეტხანს გეგმავთ. ორივე ქალაქში, ქირის საშუალო ღირებულება, თითქმის ერთი და იგივეა, რაც 250-500 ევროს ფარგლებში მერყეობს. ამ ღირებულების ნახევარს ქალაქების მუნიციპალიტეტები დაფარავენ. აქაურები იმედოვნებენ, რომ ამ ინიციატივის შედეგად ისეთ ადამიანებს მოძებნიან, რომლებიც საბოლოოდ, სანტა-ფიორასა და რიეტიში დასახლებას გადაწყვეტენ.

ვაქცინაცია დრაკულას ციხე-სიმაგრეში!

კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციაზე რომ უფრო მეტი მოქალაქე მიიზიდონ, რუმინეთის ხელისუფლებამ უფასო აცრები ცნობილი ტურისტული ობიექტის ტერიტორიაზე მოაწყო. საუბარია XIV საუკუნის ბრაინის ციხე-დარბაზზე, რომელსაც დრაკულას ციხე-სიმაგრეს უწოდებენ. მთავრობის მიზანია, შემოდგომაზე, ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი – 10 მილიონი ადამიანი აცრას (რუმინეთის მოსახლეობა 19.5 მილიონია).

ამის მიუხედავად, სოციოლოგიური გამოკითხვებით ცნობილია, რომ მოქალაქეთა თითქმის ნახევარი ვაქცინაციისგან თავს იკავებს. ხელისუფლება იმედოვნებს, რომ ორიგინალური ინიციატივა მოსახლეობას სკეფსისის დაძლევაში დაეხმარება. ვინც ტრანსილვანიაში მდებარე, ამ ციხე-სიმაგრეში აიცრება, გამოფენაზე უფასოდ შესვლას შეძლებს, რომელზეც შუა საუკუნეების წამების საშუალებებია წარმოდგენილი. იდეის ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ ასეთი აქცია ტურისტულ ობიექტსაც წაადგება, რადგან მეტ ყურადღებას მიიპყრობს.

ტყე ერთმა ადამიანმა გააშენა

69 წლის ალასან სადიმანი, ინდონეზიის კუნძულ იავას მცხოვრებია. მან მარტოდმარტომ, კუნძულის ცენტრალურ ნაწილში, 250 ჰექტარზე, 11 ათასი ხე დარგო. ამ საქმიანობას სადიმანმა 24 წელი მოანდომა. „როიტერის“ ცნობით, მამაკაცის მონდომებამ და შრომამ ნაყოფი გამოიღო: ხანძრებით გადამწვარი და უანაყოფო გორაკები ნამდვილ ოაზისებად იქცა. ახლა, გვალვით დაზიანებულ მთის ხეობაში, კვლავ არის წყალი, რომელსაც ფერმერები სარწყავად იყენებენ და მილებით საცხოვრებელ სახლებამდეც მიაქვთ.

სადიმანი იხსენებს, რომ როდესაც ხეების დარგვა დაიწყო, თანასოფლელთაგან თითქმის არავის სჯეროდა მისი შრომის შედეგის, ზოგი გიჟადაც კი თვლიდა. ახლა კი ადგილობრივი ფერმერები მოსავალს წელიწადში ორ-სამჯერ იღებენ. „იმედი მაქვს, რომ ახლა, აქ, ადამიანები ბედნიერად იცხოვრებენ. გაუფრთხილდით და ნუ გადაწვავთ ტყეებს“, – მოუწოდებს თანამემამულეებს ალასანი.

ბეტონს ცემენტის გარეშე აკეთებენ

დღესდღეობით, ბეტონი ყველაზე პოპულარული სამშენებლო მასალაა მსოფლიოში. ის ქვიშისა და მისი შემაკავებლი ცემენტისგან შედგება. ამ უკანასკნელის წარმოება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს გარემოს – ცემენტის ქარხნებზე, მსოფლიო გამონაბოლქვის 8% მოდის. იაპონელმა სწავლულებმა ტოკიოს უნივერსიტეტიდან, ბეტონის წარმოების ახალი მეთოდი შეიმუშავეს, რომელსაც ცემენტი არ სჭირდება – ქვიშის ნაწილაკები ერთმანეთს ეწებება რეაქციის შედეგად, რისთვისაც ეთილის სპირტსა და კატალიზატორს იყენებენ.

მკვლევარებმა ექსპერიმენტი კვარცის ქვიშის, ეთანოლის, კალიუმის ჰიდროქსიდისა და 2.2-დიმეტოქსიპროპანის გაცხელებით სცადეს და შედეგად, მკვრივი მასალა მიიღეს. სიმტკიცით, ქვიშისა და ცემენტის ბეტონს არ ჩამოუვარდება, თუმცა იაპონელი სპეციალისტები ტექნოლოგიის დახვეწაზე აგრძელებენ მუშაობას. მათი თქმით, ახალი ტექნოლოგია საშუალებას იძლევა, მიიღონ სამშენებლო მასალა, რომელიც უფრო მდგრადი იქნება მაღალი ტენიანობის, ტემპერატურის ცვლილებისა და ქიმიკატების ზემოქმედებისადმი.

„მგზავრობის მენიუ“ ტაქსის მძღოლისგან

ტაქსით მგზავრობა ერთგვარი ლატარეაა: მთელი გზა ან მძღოლს უნდა ელაპარაკო, ან ჩუმად იმგზავრო, ან ყურსასმენები გაიკეთო და საყვარელ მუსიკას უსმინო. ერთმა ბრიტანელმა მძღოლმა-ენთუზიასტმა, კემერონმა გადაწყვიტა, რომ საკუთარი მგზავრებისთვის, 10-ვარიანტიანი "მენიუ" შეადგინა. ეს მენიუ კლიენტების სურვილებზეა გათვლილი და გულისხმობს მგზავრობას უხერხული სიჩუმიდან, თერაპიის სეანსამდე. კლიენტებს შეუძლიათ, სასურველი ვარიანტი აირჩონ და ისე იმგზავრონ. მენიუ კი ასეთია:

უხერხული მენიუ – თქვენ უარს ამბობთ ყველა ვარიანტზე და მგზავრობის ბოლომდე, ჩუმად ვართ;

მხიარული მგზავრობა – გიყვებით ანეკდოტებს და სასაცილო ისტორიებს საკუთარი ცხოვრებიდან;

საშინელი მგზავრობა – მე არ ვლაპარაკობ, მაგრამ სარკეში გიყურებ და გათვალიერებ;

კარაოკე-მგზავრობა – ვმღერით 80-იანი, 2000-იანი წლების ჰიტებს, ან ნებისმიერს, რაც თქვენ გსურთ;

საპნის ბუშტები – მთელი გზა საპნის ბუშტებს ვუშვებთ;

მცირე საუბარი – ვლაპარაკობთ ამინდზე;

მგზავრობა-თერაპია – მიყვებით თქვენს პრობლემებზე და მე ყურადღებით გისმენთ;

მთვრალი მგზავრობა – მანქანაში ღებინების შეგრძნება გაქვთ;

კლიშე – მეკითხებით, დიდი ხანია თუ არა, რაც ტაქსისტად ვმუშაობ. სოციალურ ქსელში, „მგზავრობის მენიუს“ ფოტო ვირუსივით გავრცელდა და საკმაო მოწონებაც დაიმსახურა. კომენტარებში, მომხმარებლები სიამოვნებით განიხილავენ მათთვის სასურველ ვარიანტებს.

ცივი ჩაი ჯანმრთელობას ვნებს

სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ცივი ჩაი, შესაძლოა, თირკმელებში კენჭების წარმოქმნის მიზეზი გახდეს, რადგან ის დიდი ოდენობით შეიცავს ოქსალატებს (მარილებსა და მჟაუნმჟავებს). სწავლულების თქმით, კენჭების წარმოქმნის რისკი ოთხჯერ უფრო მეტია მამაკაცებში, ვიდრე ქალებში. ცნობილია, რომ ძირითადად, რისკ-ჯგუფში, 40 წელს გადაცილებული მამაკაცები და სუსტი სქესის ის წარმომადგენლები შედიან, რომლებსაც ორგანიზმში ესტროგენის დაბალი დონე აქვთ, მენოპაუზის პერიოდში არიან, ან საკვერცხეები აქვთ ამოკვეთილი.

მედიკოსები გამაგრილებელი სასმელების მოყვარულებს ურჩევენ, ცივი ჩაის ნაცვლად, უპირატესობა წყალს მიანიჭონ, ან სახლში მომზადებული ლიმონათი მიირთვან. რეკომენდებულია, ასევე, ლიმონიანი წყალიც, რომელიც მასში არსებული ციტრატების წყალობით, კენჭების წარმოქმნას უშლის ხელს.

სპრეი წყლის ეკონომიისთვის

ამერიკელმა სპეციალისტებმა უნიტაზისთვის ჭუჭყის მოსაცილებელი სითხე შექმნეს. ახალი პროდუქტი, რომელსაც სპრეის სახით გამოუშვებენ, მსოფლიოს მასშტაბით, დიდი რაოდენობით წყალს დაზოგავს. პენსილვანიის უნივერსიტეტის სწავლულების თქმით, ეს ინოვაციური საშუალება 90%-ით შეამცირებს წყლის რაოდენობას, რომელიც ექსკრემენტების ჩასარეცხადაა საჭირო. სითხე ხელს უშლის უნიტაზში ბაქტერიების თავმოყრას და სუნის ნეიტრალიზებასაც ახდენს. სპრეი, რომელიც მისხურების შემდეგ უნიტაზის ზედაპირს ძალიან გლუვს ხდის, განმეორებით, მხოლოდ 50 ჩარეცხვის შემდეგ უნდა გამოიყენოთ. სპეციალისტების გათვლებით, ყოველდღიურად, ჩვენს პლანეტაზე, ტუალეტების ჩასარეცხად, 141 მილიარდ ლიტრზე მეტი წყალი იხარჯება.

ძროხებს სათვალით ატყუებენ

რუსეთის დედაქალაქთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ ფერმაში, ძროხებისთვის განკუთვნილი, ვირტუალური რეალობის სათვალის პროტოტიპი გამოსცადეს. ადგილობრივი მედიის ცნობით, სათვალე პირუტყვს მოდუნებასა და ბედნიერების შეგრძნებაში დაეხმარება. წყნარი და მშვიდი გარემოს გამო, ისინი უფრო მეტ რძეს მოიწველებიან, ამიტომაც ძროხებისთვის განკუთვნილ სათვალეში ზაფხულის მინდვრებს აჩვენებენ. ვირტუალური რეალობის სათვალის პირველმა გამოცდამ აჩვენა, რომ ცხოველებს ფორიაქის შეგრძნება შეუმცირდათ და ემოციური განწყობაც გაუუმჯობესდათ.

საჭმელად ვარგისი ფრჩხილის ლაქი შექმნეს

ავსტრალიურმა მიტანის სერვისმა – Deliveroo, საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, საკვებად ვარგისი ფრჩხილის ლაქი შექმნა. სიახლე ფირუზისფერია და ორი გემოთია წარმოდგენილი – გრილზე შემწვარი ნეკნებისა და მოცვის ღვეზელის. იმის მიუხედავად, რომ სიახლის ავტორები იწონებენ ასეთი „მანიკურით“ ფრჩხილების ალოკვას, ან ლაქის მოკვნეტას, მაინც აფრთხილებენ მომხმარებლებს, რომ ფრჩხილების ლაქი საკვები არ არის! ფრჩხილის ახალი, ამ უჩვეულო ლაქის ერთი ფლაკონის ღირებულება 20 დოლარია.

მოგზაურობა „გატეხილი გულებისთვის“

ჰონგ-კონგში, ახალი მობილური აპლიკაცია – Breakup Tours იმ ადამიანებისთვის შექმნეს, რომლებსაც უიღბლო სიყვარულის დავიწყება სურთ. კომპანიაში, სადაც ეს აპლიკაცია მოიფიქრეს, მიაჩნიათ, რომ განშორების გადატანის საუკეთესო საშუალება მოგზაურობაა. სხვათა შორის, ეს იდეა ახალი სულაც არაა – მდიდარი ადამიანები, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, გატეხილ გულებს, სწორედ მოგზაურობებით "კურნავდნენ".

ახალი სერვისი მომხმარებელს არ სთხოვს, მოგზაურობის თარიღი მიუთითოს, ან სასტუმროს ნომერი აირჩიოს. წინასწარი დაჯავშნისას, კლიენტებმა უცნაურ კითხვებს უნდა უპასუხონ. მაგალითად, მთვარის რომელი ფაზა მოგაფიქრდათ ამ წამს? რისი თქმა გინდათ ყოფილი შეყვარებულისთვის? უიღბლო სიყვარულის მსხვერპლებს ბუნებაში გასვლას, ან ხელოვნებაში "თავით გადაშვებას" სთავაზობენ. მათ აქვთ საშუალება, სხვა მხრიდან შეხედონ პრობლემას და გრძნობებს გასაქანი მისცენ.

ცოლად ცხენს გაჰყვა

სასამართლოს გადაწყვეტილებით, შვედმა ერიკა ლინდსტრიომმა უფლება მიიღო, საკუთარ ცხენზე – „პორგიზე“ იქორწინოს. გოგონა ორი წლის განმავლობაში ითხოვდა ამ უფლების მიღებას და საბოლოოდ, სასამართლო ინსტანციებში გაუთავებელი სიარულის შემდეგ, თავისას მიაღწია. საბოლოო გადაწყვეტილება სტოკჰოლმის სასამართლომ გამოიტანა – მოსამართლის თქმით, ქვეყნის კონსტიტუციაში არ წერია, რომ ადამიანების ცხოველზე ქორწინება აკრძალულია. ამ ფაქტის შემდეგ, ცხოველზე დაქორწინების სურვილით, მმაჩის ბიუროებში 52-მა ადამიანმა შეიტანა განცხადება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.